ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ტალღა

თფილისი

შაბათი 5 (18 აგვ.) აგვისტო.

1906

წელიწადი პირველი

რედაქციის კანტორა იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, № 102 ეზოში.

№ 6 ყოველ-დღიური გაზეთი. № 6

30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის პროსპ., სახლი № 102.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდი, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

### ფინლიანდიის ბურჟუაზიის როლი სვეაბორგის აჯანყებაში.

დიდათ საყურადღებოა ფინლიანდიის ბურჟუაზიის საქციელი სვეაბორგის აჯანყების დროს. ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ არის განმანთავისუფლებელ მოძრაობის მომხრე, როდესაც საზოგადოება იბრძვის ფეოდალურ წესწყობილების აღმოსაფხვრელათ. რაკი ეს ბრძოლა სასურველათ დასრულდება, რაკი საზოგადოება ფეოდალურ ბორკილებს დალეწს და ქვეყნის ბატონ-პატრონობა ბურჟუაზიის ხელში გადავა, ბურჟუაზია მაშინ კონსერვატორთა ბანაკში იკალთებს და ყოველ განმანთავისუფლებელ ბრძოლის მოწინააღმდეგე ხდება, ასე მომხდარა ევროპის ყველა ქვეყნებში; საფრანგეთში, მაგ., დიდი რევოლიუციის დროს ბურჟუაზია რევოლიუციის მებაირახტრეთ გამოვიდა; როცა რევოლიუცია გამარჯვებით დამთავრდა, ბურჟუაზიამ ხალხს შეუყვირა: „შეჩერდი, ნულარ იბრძვი!“ მაგრამ, რადგანაც ხალხმა 48 წელში მოიწადინა, ბურჟუაზიულ თავისუფლების ფარგალს გადასცილდებოდა, ბურჟუაზია შეიარაღდა და სისხლში ჩააქრო მისი თავისუფლებისადმი ლტოლვილება. ამავე ისტორიის გამეორებას ვხედავთ ეხლანდელ ფინლიანდიაში. უკანასკნელ წლებში რუსეთის მთავრობამ მოიწადინა ფინლიანდიისათვის ავტონომია წაერთმია! ფინლიანდიაზედაც გაავრცელა სამხედრო ბეგარის საერთო წესები, უნდოდა ფინლიანდიისათვის წაერთმია ფულის გაჭედვის უფლება; უნდოდა ფინლიანდიის სეიმი მოეშალა; ერთი სიტყვით უნდოდა ფინლიანდია გადაექცია რუსეთის უბრალო საგენერალ-გუბერნატოროთ. მთელი ფინლიანდიის მცხოვრებნი, როგორც ერთი კაცი, წინააღუდგენ რუსეთის მთავრობის ამ შემოსევას; არც ერთი კაცი სალდათათ არ წავიდა; შეადგინეს მებრძოლი რაზმები, მშვენივრათ შეიარაღეს, მშვენივრათ გაწრთვნეს ტყეებში და მზათ იყვნენ დახვედროდნენ, თუ რუსეთის მთავრობა იარაღით მოიწადინებდა ფინლიანდიის თავისუფლების მოსპობას. ამ საერთო გადაწყვეტილებაში ყველანი იყვნენ მონაწილენი, განურჩევლათ კლასისა: ბურჟუაზიაც ისეთივე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა, როგორც მუშათა კლასი.

ამ დროს რუსეთში რევოლიუციამ იფეთქა და რუსეთის მთავრობას არ აცალა იარაღით დაპყრობა ფინლიანდიისა. მთავრობა ისე გაერთო შინაურ მტრების ჟლეტაში, რომ თავი აღარ ქონდა გამკლავებოდა ურჩ ფინლიანდიელებს; პირიქით, მათ თავი დაანება და დაუბრუნა წართმეული თავისუფლება. ამნაირათ, ფინლიანდია განთავისუფლდა ფეოდალურ რეჟიმის, თვითმპყრობელობის თავდასხმისაგან. რადგან ამ განთავისუფლებაში ყველაზე მხურვალე მონაწილეობას პროლეტარიატი ღებულობდა; პროლეტარიატისვე ძალდატანებით ფინლიანდია განთავისუფლდა შინაურ ფეოდალებისაგანაც: მოისპო პრივილეგიები, რომლებიც მინიჭებული ქონდათ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას, შემოღებულ იქმნა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელიც ქალებზედაც კი გავრცელდა, დაწესდა ერთპალატიანი წარმომადგენლობითი სისტემა; ერთი სიტყვით, ფინლიანდიაში დამყარდა ისეთი დაწინაურებული წესწყობილება, რომელიც ევროპის ბევრ სახელმწიფოსაც მოენატრება. ფინლიანდიის ბურჟუაზიამ უფლება ხელში ჩაიგდო. მას მეტი არა უნდა რა; მან მიახწია თავის საწადელს და ხელი გაუწოდა რეაქციას; ახლა იგი მოწინააღმდეგეა ყოველ განმანთავისუფლებელ მოძრაობისა. არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ სხვაგანაც, მაგ., რუსეთში, ეს აშკარათ დაამტკიცა მან თავის საქციელით სვეაბორგის აჯანყების დროს.

როცა სვეაბორგის ჯარი და ფლოტი აჯანყდა, ფინლიანდიის პროლეტარიატმა მათ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა და მხურვალე დახმარება გაუწია. ეგრეთ წოდებული „წითელი გვარდია“, ე. ი. მუშებისგან შემდგარი რაზმები, აჯანყებულთ მიემხრენ და მათთან ერთათ დაიწყეს ბრძოლა; ამავე დროს პროლეტარიატმა, სოც.-დემ. პარტიის წინამძღოლობით, საერთო გაფიცვა გამოაცხადა, რომ რუსეთის მთავრობისთვის ხელი შეეშალა ჯარის გადაზიდვაში, ბურჟუაზიამ, პირიქით, აშკარათ მთავრობის მხარე დაიჭირა: იგი გადაჭრით წინააღუდგა საერთო გაფიცვას; მისმა წარმომადგენლებმა შეადგინეს ე. წ. „თეთრი გვარდია“, რომელმაც ბრძოლა დაუწყო „წითელ გვარდიას“, ნებას არ აძლევდა მას რკინის გზის ლიანდაგი გაეფუჭებინა და საყოველთაო გაფიცვა გაეტარებინა. ფინლიანდიის სეიმმაც მოწოდება მოწოდებაზე გამოსცა, ხალხს ურჩევდა, ნუ გაუგონებთ „წითელ გვარდიელებს“, მათ აიკლეს ქვეყანა, მათ გაამეფეს ანარხიაო.

ამნაირი დახმარება გაუწია ფინლიანდიის ბურჟუაზიამ რუსეთის ბარბაროსულ მთავრობას. დაუფასებს კი მთავრობა მათ ამ სამსახურს? დაიხსომებს ბურჟუაზიის „ღვაწლს“ და ხელს არ ახლებს ფინლიანდიას?—სვეაბორგის აჯანყებამდე ყოველ დღე დეპეშები მოდიოდა ჯარის მობილიზაციის შესახებ ფინლიანდიაში; თუმც მთავრობა უარყოფდა სხვადასხვა ხმებს, მაგრამ ეჭვი არ არის, მას სურდა ფინლიანდიაში ნელ ნელა ჯარი შეეპარებინა და ერთ მშვენიერ დღეს ფინლიანდიაში საომარი წესები გამოეცხადებინა.

ხელი შეუწყოს ფინლიანდიის ბურჟუაზიამ რუსეთის მომაკვდავ მთავრობის გამობრუნებას და ერთ მშვენიერ დღეს ვნახავთ, რომ იგი „იხევდეს თმა და წვერსაო“.

—

**შეცდომის გასწორება.** მე-4 ნომერის მეთაურში ერთი სამწუხარო შეცდომა მოგვივიდა: იქ ნათქვამი იყო, 9 იანვარს პროლეტარიატმა პოლიტიკური მოთხოვნები არ წარუდგინა მეფესო. ნამდვილათ კი 9 იანვარს მოთხოვნებში მოხსენებული იყო პოლიტიკური მოთხოვნებიც (დამფუძნებელი კრება და სხვ.). ეს, რასაკვირველია, სრულიად არა სცვლის წერილის დედა აზრს. რედ.

## პოლიტიკური მიმოხილვა

**მინისტრ ვასილჩიკოვის სიტყვის გამო.**

მთავრობას ახალი ალექსანდრე მაკედონელი გამოუჩნდა. ეს გახლავს ახლათ დანიშნული მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მინისტრი თავადი ვასილჩიკოვი. ალექსანდრე მაკედონელს ეს თავადი იმით გავს, რომ მისეებ ადვილდება გორდიასის კვანძზე უფრო დახლართული კითხვების გადაჭრა. ახალ მინისტრს მშვენივრათ ესმის, რა სერიოზული საკითხია აგრარული საკითხი, მშვენივრათ ესმის, რომ „ქვეყნის დასამშვიდებლათ ერთათ ერთი საშუალება“ ამ კითხვის გადაჭრაა. მან ისიც კარგათ იცის, რომ აგრარულ კითხვის გამწვავება „ნაყოფია თუ ყალბის არა, ყოველ შემთხვევაში არა საკმაოთ წინდახედულ პოლიტიკისა, რომელსაც ადგა მთავრობა ნახევარ საუკუნის განმავლობაში“; მინისტრმა ისიც იცის, რომ „კალმის ერთი მოსმით არ შეიძლება ამ კითხვის გადაწყვეტა“. მაგრამ მინისტრს მაინც ეადვილება აგრარულ კითხვის გადაჭრა: „თუ მცხოვრებთა ერთი ნაწილის მხურვალე სურვილი იქნება შეიძინოს მიწები და მეორესი—დაუთმოს თავისი ადგილ-მამული, მორჩა და გათავდა, აგრარული საკითხი გადაწყდება“. მინისტრი არ ამჟღავნებს, როგორ სურს მოანდომოს ამ „მეორე ნაწილს“ „დაუთმოს“ ხალხს თავისი ადგილი; არ ამჟღავნებს თავის აგრარულ პროგრამის დადებით (положительная) მხარეს. სამაგიეროთ აცხადებს პროგრამის უარყოფით (отриц.) მხარეს და ესეც საკმარისია მისი პროგრამის ხასიათის გასაცნობათ. მინისტრი „ვერ მიემხრობა იმათ, ვინც აგრარულ საკითხის გადასაწყვეტათ კერძო მიწათ-მფლობელობას ანადგურებს“. თითონ მინისტრი თურმე მსხვილი მემამულეა და აბა რას მოეწონება კერძო მიწათ-მფლობელობის მოსპობა? პირიქით, მას მიწათმფლობელობის ისეთი ფორმა მოსწონს, როდესაც „მიწათმფლობელობის ყოველი სახე—წვრილი, საშუალო და მსხვილი—მოიპოვებს ადგილს ცხოვრებაში“, ე. ი., როდესაც ვასილჩიკოვს და მის მეგობრებს თავისი ათი-ათასი დესეტინა მიწები შერჩება და გლეხებიც აღარ გაუჭირებენ მათ საქმეს აგრარულ უწესოებით. ამაზე კარგს რას უნდა მოველოდეთ, როცა მგელს დაავალებენ ცხვრებისთვის კანონების გამოცემას?

**სტოლიპინის სიცრუე გამოამზევეს.**

ორი დედაბერი რომ ერთმანეთს წაეკიდებიან, ქვეყანას ამცნობენ ხოლმე ერთიერთმანეთის საიდუმლოებას. ასე მოუვიდათ მთავრობას და „მშვიდობიან განახლების პარტიას“. მთავრობას და ამ პარტიის ლიდერებს გაცხარებული მოლაპარაკება ქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ დააშოშმინონ ურჩი ხალხი, როგორ გაინაწილონ ერთმანეთში ხალხის უფლება, როგორ უნდა დაეხმარონ ერთმანეთს, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონობა შერჩეთ ხელში. მოლაპარაკება სასურველათ ვერ დამთავრდა, რადგან მხარეები ერთმანეთში ვერ შეთანხმდენ, და ამის შემდეგ დაიწყეს ერთმანეთის მშრალზე გამოყვანა. გაჯავრებულმა „საზოგადო მოღვაწეებმა“ გამოააშკარავეს, რომ მთავრობა სწორე სიტყვას არ იტყვის, უთუოდ უნდა იტყუოს. მთავრობა აცხადებდა, შეთანხმება კი მოხდა, მაგრამ „მშვიდობიან განახლების პარტიას“ საკმაო შესაფერი კაცები არ ყავდაო. ნამდვილათ კი, როგორც შიპოვის, ლვოვის და გეიდენის წერილებიდან ჩანს, შეთანხმება იმიტომ არ მომხდარა, რომ „საზოგადო მოღვაწენი“ სამინისტროში 5 ადგილს თხოულობდენ, მთავრობა კი მათ უთმობდა მხოლოდ 2-ს. გარდა ამისა, „საზოგადო მოღვაწეებს“ მოუთხოვნიათ დუმის მოწვევის დაჩქარება, სტოლიპინს კი ეს ძალიან არ მოსწონებია, რადგან უდუმოთ უკეთ გრძნობს თავს. გამოჩნდა, რომ მთავრობას „საზოგადო მოღვაწენი“ მხოლოდ დეკორაციათ, დასამშვენებლათ, სდომებია, „საზოგადო მოღვაწეთ“ კი ნდომიათ რეალურ ძალის ხელში ჩაგდება.

**„საზოგადო მოღვაწეების“ მოღვაწეობა.**

მაგრამ ამ შეტაკებიდან არც „საზოგადო მოღვაწენი“ გამოვიდენ წმინდათ, მათი „საქმენი საგმირონიც“ მზის სინათლეზე გამოჩნდა. გამოჩნდა, რომ, „პრინციპიალური უთანხმოება არ არსებობს“ მთავრობასა და „საზოგადო მოღვაწეთა“ შორის (გუჩკოვის სიტყვები). ე. ი. „საზოგადო მოღვაწეების“ და მთავრობის პროგრამა ერთნაირი ყოფილა! გამოჩნდა, რომ „საზოგადო მოღვაწეებს“ მაჭანკლის როლი უკისრიათ ხალხსა და მთავრობას შუა: როგორც გუჩკოვის ლაპარაკიდან სჩანს, „საზოგადო მოღვაწეებს“, შეუგნიათ რა, რომ საზოგადოებასა და მთავრობას შუა ანტაგონიზმი არსებობს“, მოუსურვებიათ „ხალხის შერიგება მთავრობასთან.—გამოჩნდა კიდევ, რომ ზოგიერთი ამ „საზოგადო მოღვაწეთაგანი“ ძალიან შორს არ წასულან მთავრობის „გმირებზე“: პრემიერთან მოლაპარაკების დროს გუჩკოვს იმედი გამოუცხადებია, რომ სამინისტროში შევა აგრეთვე „ყველაზე შესანიშნავი“ მოღვაწეცო.—„ვის გულისხმობთო“? კითხა სტოლიპინმა.—„დუბასოვსო“, უპასუხა „საზოგადო მოღვაწემ“. ამ სიტყვების გაგონებაზე სტოლიპინსაც კი კინაღამ თვალები ქუთუთოებიდან გადმოვარდა გაკვირვებისაგან.

**შიმშილობა მოდის!**

საშინელი ამბები მოდის რუსეთის ყველა კუთხეებიდან შიმშილობის შესახებ. „რუს სლ“.-ს კოსტრომელი კორესპონდენტი იწერება, მთელ გუბერნიას საშინელი შიმშილობა მოელი. როგორც დეპეშამ გვაუწყა ეკატერინოსლავის, პოლტავის და სხ. გუბერნიებში უკვე მომკილი პური სულ გაფუჭებულა ხშირ წვიმებისგან. ეს გუბერნიები კი აქამდის ყველა პურიან გუბერნიებათ ითვლებოდა, აქედან მისდიოდათ პური მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების მცხოვრებთ. სამარის გუბერნიაში მშიერები ისე ბევრნი არიან, რომ საქმე მხოლოდ რჩეულებით შოულობენ და სამუშაო ხელფასი საშინლათ დაბალია. შიმშილისაგან მცხოვრებლებს მუცლები დასიებიათ, ღრძილები და ტუჩები დახეთქიათ, ისე, რომ ლუკმაც კი აღარ შეუძლიათ. ვოლგას ნაპირებზე დახეტიალობენ მრავალი „არტელები“, მაგრამ საქმეს ვერ შოულობენ. ერთი ასეთი „არტელი“ ასტრახანში დავალიანებულა და იქიდან წამოსასვლელი ფული რომ არ ქონია, თავიანთი ცოლები დაუგირავებიათ საროსკიპოებში. თითო დედაკაცზე 20 მანეთი მიუღიათ...

ამისთანა ამბებს რომ კითხულობ, უნებურათ რწმუნდები, რომ ამ უბედურებას მალე ქარიშხალი უნდა მოყვეს. ამ ქარიშხლის ატეხა ბევრ ხანს აღარ გვალოდინებს, ეს შეუგნია თვით მთავრობას და როგორც „20 ვეკ“-ი იუწყება, შეფიქრიანებულა. მომკილ პურის აკრეფის შემდეგ სამინისტროში მოელიან მთელ გლეხკაცობის აჯანყებას. მდგომარეობა ძალიან საშიშია, როგორც ყოველ მხრიდან მოსულ საიდუმლო ცნობებიდან ჩანს“. გონზე მოვა თუ არა მთავრობა? ვეჭვობთ!

---

### კ. კაუცკის წერილი შემ. სიეზდს რ. ს.-დ. მ. პ.

—

ძვირფასო ამხანაგებო!

გულით გმადლობთ თქვენ სიეზდზე მიწვევისათვის. მარა სამწუხაროთ ჩემი სამუშაო ნებას არ მაძლევს ახლავე ვისარგებლო ამ მოწვევით, შემდეგ მოსვლა კი დაგვიანებული იქნებოდა. ამასთანავე რუსული ენის უცოდინარობის გამო, მე არ შემეძლებოდა თვალყური მედევნებია თქვენი კამათისთვის და იქიდან ის სასარგებლო ცნობები გამომეტანა, რომელიც საჭიროა ჩემთვის.

ამნაირათ, ჩემი სიეზდზე წამოუსვლელობის მიზეზია არა ინტერესის უქონლობა თქვენი კამათისადმი, პირიქით, მე მგონია, რომ არ არის არც ერთი სიეზდი ამ წელში, რომლის გადაწყვეტილებებს უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდეს საერთაშორისო ს.-დემოკრატიისათვის, იმიტომ, რომ რუსეთში წყდება დღეს ბედი მთელი საერთაშორისო მოძრაობის.

თქვენი სიეზდი უფრო საყურადღებოა, ვინემ რომელიმე სხვა ს. დ. პარტიის სიეზდი, არა მარტო იმით, რომ მაზე უნდა გადაწყდეს დიდ-მნიშვნელოვანი კითხვები, არამედ იმითაც, რომ კითხვები მეტათ ძნელი გადასაჭრელია. რუსეთის ს.-დ-იას ყველაზე მეტათ აქვს საქმე შეუკავშირებელ, დისციპლინას შეუჩვეველ და გამოცდილებას მოკლებულ მუშათა მასსასთან, ამიტომ მისთვის უფრო ძნელია, ვინემ სხვა ქვეყნებისათვის, ამ მასსების წესიერი ხელმძღვანელობა. რუსეთში, როგორც მე მგონია, უცაბედი შეცვლა სულიერი მდგომარეობის, მოულოდნელი სტიქიური მოძრაობა და აფეთქება უფრო მეტ გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვინემ სადმე სხვაგან. რამდენჯერ ინგრევა ამ გარემოების გამო წინდაწინვე მიღებული პლანები! რამდენათ შეუძლებელი ხდება ერთხელ და სამუდამოთ მიღებული ტაქტიკით მოქმედება! რამდენათ ელასტიური (მოქნილი), მოძრავი უნდა იყოს ეს ტაქტიკა, რომ ყველა მოვლენებს მიუდგეს! და რამდენათ მნიშვნელოვანია ასეთ პირობებში, პირველყოვლისა, საუკეთესოთ სარგებლობა ყოველგვარი სიტუაციით (ძალთა განწყობილებით)!

მარა ძნელ გადასაჭრელ ტაქტიკურ კითხვებს კიდევ უფრო აძნელებს ის გარემოება, რომ არსად, არც ერთი რევოლიუცია არ ყოფილა ისეთ წინააღმდეგობებით სავსე, როგორც რუსეთის ეხლანდელი რევოლიუციაა. ეს რევოლიუცია არსებითათ არის და უნდა იყოს მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუცია; მარა ის ხდება ისეთ დროს, როცა ევროპის დანარჩენ ქვეყნებში შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლიუცია. ბურჟუაზიული რევოლიუცია ხდება მაშინ, როცა ბურჟუაზიული იდეალები სრულ სიკოტრეს იჩენენ, როცა ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ უკვე დაკარგა ყოველი რწმენა თავისთავის, როცა მხოლოდ სოციალიზმის ნიადაგზე შეიძლება იდეალების აღმოცენება, ბრძოლის ენერგიის და ენტუზიაზმის განვითარება!

ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომელიც უნდა აწარმოვოს სოციალისტურმა პროლეტარიატმა, ბურჟუაზიის მოსისხლე მტერმა, და გლეხკაცობამ, რომლის რევოლიუციურ სულის კვეთებაში არსებითათ გადახლართულია ერთმანეთში ბრძოლა ძველი წყობილების აუტანელი პირობების წინააღმდეგ და რეაქციონური აჯანყება თანამედროვე ეკონომიურ განვითარების ტენდენციების წინააღმდეგ.

თუმცა გლეხობის დახმარება აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციის გასამარჯვებლათ, მარა ის საიმედო მოკავშირე არაა.

ყველა ამ სიძნელის და წინააღმდეგობების გამო აუცილებლათ უნდა დაბადებულიყო თვით პარტიაში განსხვავებული შეხედულება ჩვენი ტაქტიკის შესახებ. ამ განსხვავებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ რუსეთი დიდ სივრცეზეა გაჭიმული, სხვა და სხვა ნაწილებში სხვადასხვა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ნაციონალურ პირობებთან გვაქვს საქმე.

მით უფრო მოუთმენლათ ველით ჩვენ, დასავლეთ ევროპის ამხანაგები, თქვენი შრომის შედეგებს, და გულმხურვალეთ გისურვებთ, რომ სისწორით გადაგეწყვიტოთ ეს ძნელი საკითხი, საკითხი ისეთი ტაქტიკის შემუშავების, რომ ის ყველა პირობებს მიუდგეს, მოძრავი იყოს, და ამასთანავე ზარალი არ მოუტანოს პარტიის პრინციპების და ორგანიზაციის მთლიანობას და საერთო გამოლაშქრებას.

მარა, რაც უნდა დიდი განსხვავება იყოს შეხედულებებში, ერთში ყველანი თანახმა იქნებიან, სახელდობრ იმაში, რომ, როგორი ტაქტიკაც უნდა მიიღოთ, როგორი გამოლაშქრებაც უნდა დაისახოთ მიზნათ, ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, გამარჯვების აუცილებელ პირობათ მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციის შექმნა უნდა ჩაითვალოს. თუ ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს, ვერავითარი ტაქტიკა, რაც უნდა გონიერი იყოს ისე, ვერ მოგვცემს გამარჯვებას. ძლიერი ორგანიზაციის დროს კი ნაკლებათ გამოსადეგი ტაქტიკაც დიდ გამარჯვებას მოიტანს. პროლეტარულ ორგანიზაციების განვითარება—აი ყოველი პროლეტარული მოძრაობის კატეხიზმიო.

ამ მხრით, მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე რუსეთის სოციალდემოკრატიაში წამოყენებული საკითხი რამდენიმეთ მოგვაგონებს იმ საკითხს, რომელიც ამ 30 წლის

წინეთ გვედგა წინ ჩვენ, ავსტრიელ სოციალისტებს; მსგავსებასთან ერთათ, რასაკვირველია, განსხვავებაც არის მაშინდელ და ახლანდელ ვითარებაში. მსგავსება, ჩემის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, ე. ი. 30 წლის წინეთ, ავსტრიაში მთავრობა შეუძლებელს ხდიდა პროლეტარიატის ყოველგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციის არსებობას. ასეთი ორგანიზაციის მოთხოვნილება კი მეტის მეტათ ძლიერი იყო. კონსპირატიულ ორგანიზაციას არ შეეძლო თავის ფარგლებში მთელი პარტიის მოთავსება, ლეგალური კი შეუძლებელი იყო. რა უნდა გვექნა?

ჩვენ შევაერთეთ კონსპირატიული ორგანიზაციები ლეგალურთან. ამხანაგები აარსებდენ სრულიად ლეგალურ პროფესიონალურ კავშირებს, და საავათმყოფო კასებს, მარა ამ ორგანიზაციის წევრებში ისინი ცდილობდენ სოციალისტური იდეების გავრცელებას. შემდეგ ამ ორგანიზაციების რწმუნებულები ფარულათ იკრიბებოდენ; ამნაირათ ყოველ ადგილას არსდგებოდა კონსპირატიული კოლექტივი და ამით ყველა ლეგალური ორგანიზაციები ერთი პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილებათ, მის ორგანოებათ ხდებოდა და ერთი პლანით და სისტემით მოქმედებდა.

ადგილობრივ ორგანიზაციებს ერთმანეთში აკავშირებდენ ერთი მხრით დროგამოშვებითი ფარული სიეზდები და მეორე მხრით მუდმივი ყოველკვირეული პოლიტიკური გაზეთი. ეს გაზეთი იყო, როგორც საპროპაგანდო ორგანო, ისე ორგანიზაციის ცენტრიც. ყველგან, სადაც არსებობდა პარტიული ორგანიზაცია, რედაქციას ყავდა თავის კორესპონდენტები, ადგილობრივ ამხანაგებისგან არჩეული. ამნაირათ ცენტრალური ორგანოს რედაქცია გადაიქცა ცენტრალურ პუნქტათ, სადაც თავს იყრიდა და ინასკვებოდა ყველა ორგანიზაციების შემაერთებელი ძაფები. ის კარგათ იცნობდა პარტიულ ცხოვრებას ყველა ადგილებში, მას ყოველ მხრიდან მოსდიოდა ცნობები, ყველას აძლევდა თავის რჩევას და უწევდა ხელმძღვანელობას. ასეთი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც არავითარი ფარული წესდება არ ესაჭიროებოდა, და რომელიც ბუნებრივათ, თავისთავათ ვითარდებოდა, მიუდგომელი და მტკიცე სიმაგრე შეიქნა, და ამავე დროს იმდენათ ძლიერიც, რომ მთელ პარტიაში ერთგვარი პარტიული პოლიტიკა გატარდებია. ამნაირათ პოლიტიკურ ორგანიზაციათა აკრძალვის მიუხედავათ შედგა პარტიული ორგანიზაცია, რომელშიაც შეკავშირებული იყო პროლეტარიატის მასსა.

ლეგალური პრესა და ლეგალური—ეკონომიური ორგანიზაცია შევსებულ იქნა არა ლეგალური, კონსპირატიულ ორგანიზაცებით და ამნაირათ ისინი საფუძვლათ დაედვენ პარტიის შექმნას.

და თუ დღეს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას აშკარათ, ლეგალურათ შეუძლია ორგანიზაციების შეკვრა, ეს მხოლოდ იმ გარემოების წყალობით, რომ მთავრობამ და პოლიციამ ვერას გზით ვერ მოახერხეს ჩვენი ფარული ორგანიზაციების დაშლა. ბოლოს ისინი იძულებული გახდენ შერიგებოდენ იმას, რის ხელის შეშლაც მათთვის შეუძლებელი გახდა.

გაწვრთნა და გაშედაობა, აი ის იარაღები რომლის საშვალებით ავსტრიის პარტიამ ბოლოს და ბოლოს სრულიად ძირი გამოუთხარა თავის მდევნელ ბიუროკრატიულ აპპარატს.

რუსეთის მდგომარეობა, რასაკვირველია, ყოველ მხრივ ისეთი არაა, როგორც ავსტრიის ამ 30 წლის წინეთ. პირველყოვლისა ძალიან დიდი განსხვავება არსებობს იმ მხრით, რომ რუსეთში მოძრაობამ რევოლიუციური სახე მიიღო, რომ იქ ძველი წყობილება თავგამოდებით იბრძვის თავის არსებობის შესანარჩუნებლათ. მარა რაც უნდა დიდ განსხვავებას იწვევდეს ეს გარემოება ბრძოლის საგანსა და ბრძოლის წესებში, აქედან მაინც არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ორგანიზაციის ფორმებიც ასე ღრმათ უნდა განირჩეოდეს ერთმანეთისაგან.

მაგრამ მე, როგორც ბერლინში მცხოვრები და მაშასადამე თქვენი ბრძოლის ასპარეზს დაშორებული და ამასთანავე თეორეტიკოსი, რომელიც ყოველთვის განზე უდგა ორგანიზაციის პრაქტიკულ საკითხებს, ჩემგან გამოთქმულ აზრს არ ვთვლი მიუცილებელ სიმართლეთ.

ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული იყავით, რომ, როგორიც უნდა იყოს თქვენი დადგენილებები, ჩვენ გერმანიაში დიდის ენტუზიაზმით და ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენს ბრძოლას.

ჩვენ სულით და გულით გვსურს იმ საათის მოახლოება, როცა ჩვენ და თქვენ შეგვეძლება მხარდამხარ დადგომა საერთო ბრძოლაში.

გულმხურვალეთ გისურვებთ თქვენი შრომის გამარჯვებით დამთავრებას და გართმევთ ხელს.

თქვენი კ. კაუცკი.

## ახალი ამბები

მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში თფილისში ამბავი მოვიდა **სპარსეთში კონსტიტუციის შემოღების შესახებ.** გუშინ, 4 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე მუსულმანთა მეჩეთში, მე-6 საპოლიციო ნაწილში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი სპარსეთში კონსტიტუციის შემოღების გამო. პარაკლისს დაესწრნენ სპარსეთის გენერალური კონსული თფილისში, სამღვდელოება, თფილისში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომი სომხები და თათრები, პრესის წარმომადგენლები და სხვ. პარაკლისის დაწყების წინ სა ქართველო მეჯლისის თავმჯდომარემ ჰაჯი-ახუნდ-მოლა-ზადემ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. ახუნდზადეს შემდეგ ილაპარაკა გენერალურ კონსულმა, რომელმაც აღნიშნა კონსტიტუციის მნიშვნელობა ხალხისათვის, შეეხო სპარსეთის შაჰს და ის აზრი გამოსთქვა, რომ კონსტიტუცია შაჰის წყალობააო. პარაკლისის შემდეგ მეტათ საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა იუმორისტიულ თათრულ ჟურნალ „მოლლა-ნასრედინის“ ერთმა თანამშრომელმა ფაიკ-ეფენდი-ნოიმან-ზადემ. ამან თავის მგრძნობიარე სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ კონსტიტუცია მხოლოდ სპარსეთის ხალხმა გასტეხა, რომ თეირანის ქუჩებში უსამართლოთ ხალხის დაღვრილ სისხლს უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია, მან თავისი ნაყოფი გამოიღო და შაჰი აიძულა, ხალხისთვის კონსტიტუცია მიეცა. ორატორის აზრით სპარსეთის კონსტიტუცია სრულიად არა გავს იმ ხანმოკლე კონსტიტუციას, რომელიც ოსმალეთში იყო შემოღებული, სპარსეთის კონსტიტუცია ხალხის სისხლითაა მოპოვებული და მისა უკან წაღება არც აგრე ადვილიაო. ამას კონსულმა უპასუხა და კონსტიტუცია ისევ შაჰის წყალობათ გამოაცხადა. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამბარცუმ არაქელიანმა. მან მოულოცა დამსწრეთ სპარსეთის ქვეშევრდომ სომხების სახელით კონსტიტუცია და აღნიშნა, რომ ეს აქტი სასიხარულოა არა მარტო სპარსელებისთვის, არამედ სპარსეთის ქვეშევრდომ სომხებისათვისაცო. დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ისევ კონსულმა. ამის შემდეგ ყველანი წავიდ-წამოვიდენ. გუშინ მე-6 საპოლიციო უბანში ბევრი მაღაზია იყო დაკეტილი და სპარსულ ბაირაღებით დამშვენებული. საღამოს 8 საათზე კონსულისას დაპატიჟებული იყვენ სხვა და სხვა დაწესებულებებში მოსამსახურენი, პრესის წარმომადგენელნი და სხვა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სადგ. **სამტრედიის მახლობლათ** 3 აგვისტოს დილის 9 საათზე ვიღაც უცნობთ თოფით მოუკლავთ მე-2 ნაწილის რკინის გზის ოსტატი მელიტონ ქაჩიბაია. ქაჩიბაია სადგ. კოპიტნარიდან დრეზინით მიდიოდა თურმე და თავის ნაწილში გზას ათვალიერებდა. მკვლელი მიმალულა.

✦ შაბათს, 29 ივლისს თფილისიდან რკვიაში (შორაპნის მაზრა) გაასვენეს 26 ივლისს სად. აბაშაში საერობო დარაჯებისაგან ვერაგულათ მოკლულის **კოლა გაჩეჩილაძის ცხედარი.** გაჩეჩილაძის გასვენებას რკინის გზის რამდენიმე მუშა დაესწრო. გაჩეჩილაძე ამ ორი წლის წინეთ თფილისის დეპოში მუშაობდა. სადგ. რკვიაში ცხედარს ხალხი ბლომათ შეხვდა. მეორე დღეს, კვირას, ცხედარის დაკრძალვას სხვადა სხვა მიზეზებისა გამო ხალხი ცოტა დაესწრებია. საფლავთან წარმოუთქვამთ რამდენიმე მგრძნობიარე სიტყვა. კუბოს თფილისის სადგურის მოსამსახურეებისაგან, კონდუქტორებისაგან და სხვ. მორთული გვირგვინები ამშვენებდა.

✦ ოთხ ივლისს სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან ყუმბარით დაჭრილი თფილისის **პოლიცმეისტერი მარტინოვი**, როგორც გვამოგვცეს, ახლა უკეთ არის და ახლო მომავალში სრულიად გამოეწერება მიხეილის საავათმყოფოდან.

✦ პოლიცმეისტერის თანამდებობის ყოფილი აღმასრულებელი, მე X საპოლიციო ნაწილის **ბოქაული ბოიარინოვი,** როგორც გავიგეთ, სამსახურს სრულიათ თავს ანებებს.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ თფილისში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან, **ბეჭდვითი სიტყვის ბიურო** დაუარსებიათ, რომლის მიზანი იქნება ადგილობრივ რუსულ, ქართულ და სომხურ გაზეთებს თვალყური ადევნოს, არაფერი დაწეროს კავკასიის ჯარის შესახებ. ამიტომ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა თხოვა საცენზურო კომიტეტს უფროსს აცნობოს სახელი ყველა პერიოდიულ გამოცემებისა, რომელნიც კავკასიის სანამესტნიკოს საზღვრებში გამოდიან.

✦ ამას წინეთ გაიფიცენ **ს. ელდანის ბაღების მოჯამაგირეები,** რომელთაც ბაღის პატრონთ ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს. გაფიცვის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაფიცულებს ხაზეინები დაკმაყოფილებას დაპირდენ და ამათაც მუშაობა დაიწყეს, მაგრამ შემდეგში ხაზეინებმა ისევ ძველებურათ დაიწყეს მოქმედება და დანაპირები არ შეასრულეს. 30 ივლისს მოჯამაგირეებმა კრება მოახდინეს და ხელახლა გაიფიცენ. ახლა შევიტყვეთ, რომ მოჯამაგირეებს სრულიად გაუმარჯვნიათ და მუშაობასაც შედგომიან.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ ბოლო დროს გახშირდა ტერორისტული აქტები. ამ დღეებში ქუთაისში ფერმასთან მოუკლავთ სოფ. შუფრიხეთის საზოგადოების (რაჭა-ლეჩხუმის შარა გზაზე 10—15 ვერსის მანძილზე) მამასახლისი ი. ფუცხვანიძე, რომელსაც ამ საზოგადოებაში „ახალთაობის“ კაცების პოლიციისათვის დაბეზღება ბრალდებოდა. მკვლელებს მოკლულისთვის ჯიბიდან ამოუღიათ იმ ოცდაათი კაცის სია, რომელიც მას მიქონდა იმ დღეს.

✦ თფილისის მაზრის **ს. მარტყოფიდან** გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ს. მარტყოფის მცხოვრებთ შოშიაშვილს და ეპიტაშვილს 3 ხარი მოუპარავთ და თფილისში ჩამო რეკიათ გასაყიდათ. თფილისში ქურდებს პატრონები შეხვედრიათ, ორივე შეუპყრიათ და სოფლისთვის გადაუციათ გასასამართლებლათ. გლეხებს ქურდები ქვებით ჩაუქოლავთ...

✦ როგორც გავიგეთ, თფილისის პოლკის კომანდირი შეკითხებია საცენზურო კომიტეტს—მიცემულია თუ არა პასუხის გებაში დახურულ გაზეთის **„ახალი ცხოვრების“** რედაქტორი ახმეტელაშვილი, რომელმაც თავის გაზეთში ცილი დასწამა ოფიცერ ზაალიშვილს, თითქოს მას ხის ციხის კარებთან თავის ხელით ტუსაღი მოეკლას. ზაალიშვილის ხებ ცნობები ადგილობრივ სხვა გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი. სხვათა შორის ხურულ გაზეთ „სიმართლეში“ და მეტეხის ციხის ტუსაღების წერილი, ეს უკანასკნელნი პირდაპირ უმტკიცებენ ზაალიშვილს დანაშაულს.

✦ დიდი ჯიხაიშიდან (ქუთ. მაზრ.) გვატყობინებენ, რომ აქ თავის სახლში მოკლეს **დიაკვანი გიგო კახაძე,** რამაც აღელვა აქაური მცხოვრებნი და შესტიკ გამოიძიებას, ეჭვი მიიტანეს სამიანზე, რომლებიც ფარულის კენჭის დაასახელეს.

✦ ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ, გაზეთ „ლამპარში“ მოთავსებულ კორესპონდენციის გამო, უკვე მიცვალებულ კო წერეთლის შესახებ რამდენიმე მუშებს გამოძიება მოუხდენიათ და აჩენიათ, რომ ის მართალი ყოფილა იმაში, რაშიაც მას ბრალს დებდენ.

✦ **ბოიკოტი.** აჭალის ქუჩაზე რის პატრონებმა, ძმათა **იოსებ და ახვერდოვებმა** 3 აგვისტოს ნაშუადღევს პირველ საათზე აავიანთ ერთ მოსამსახურეს გამოუცხადეს, თუ ხვალიდან მობული საღამოს ვაჭრობის შეწყვეტა იმსახურებ დარჩი ჩვენთანაო, თუ არა ახლავე წადიო. ნოქარმა უთხრა: მე ჩვენ ხანაგების კავშირის დადგენილებას გზით ვერ დავარღვევო, ამაღამ დამა და დილაზე წავალო. ამაზე ხაზეინლანძღვა და ცემა დაუწყეს. ამ დროს და პეტრული, გაიქცა ტრაქტი დაუწყეს ყველას კონდახებით ცემა და შემდეგ-კი რადგან ხაზეინებმა მოუთითეს ვიანთ ნოქარზე ქურდიაო, დაუწყეს ორებით უწყალოთ ცემა. მეორე დღეს მოსამსახურეს მოუთხოვია თავისი ცემლი. ამ დროს იოსებ ახვერდოვს უტანია ჯოხი და დაუტყამს თავში მკლავში. რადგან ახვერდოვებმა დაარღვიეს წვრილ ვაჭართა კავშირის დადგენილება ამაზედ თფილისის წვრილ ვაჭართა და სამსახურეთა კავშირების რწმუნებულები იქონიეს მსჯელობა და კარგა ხნის რის შემდეგ ერთხმათ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

1. მიეცეს ნაცემ ნოქარს სამი თვის მეტი ჯამაგირი და ხუთი მანეთი სა... 2. თვითონ ვაჭარს ძმათა ახვერდოვებს გამოეცხადოს 15 დღით ბოიკოტი 5 აგვისტომდე. 3. ოც აგვისტომდე ე. ი. ბოიკოტის ხანში უნდა აძლიონ ჯამაგირი, როგორც გალახულ მოსამსახურეს, ისე დანარჩენებს; მე-4. თუ ამ ზემოხსენებულ სამ მუხლს არ მოიყვანენ სისრულეში, მაშინ ბოიკოტი იქნება ახსნილი.

✦ 3 აგვისტოს სად. ქარელში, რომ სეც საღამოს მატარებელი შემოდგა ერთი მოხუცი მოვაჭრე ქალი ორთქლმა...

## ფელეტონი

—:—

### სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუცია

(თარგმანი)

ინგლისს, სადაც პირველათ წარმოიშვა და განვითარდა კონსტიტუციონური იდეები, დაწერილი კონსტიტუცია არც მოეპოვება. იქ არც კი არსებობს რაიმე განსხვავება კონსტიტუციასა და ჩვეულებრივ კანონებს შორის. პარლამენტს შეუძლია გააუქმოს პირველიცა და მეორეც; ისინი გაფანტულნი არიან სხვადასხვა ღრამოტებში,—პარტიებში, მთავრობის დადგენილებებში, სასამართლოს განჩინებებში და სხვ. ასე, რომ დაწერილი კონსტიტუციის უქონლობა საჭიროთ ხდის მის გასაცნობათ მთელი ტომების გადაკითხვას.

ინგლისელებმა, რომლებმაც ატლანტიის ოკეანეს იქით შექმნეს ახალი სახელმწიფო—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, ისეთი კონსტიტუცია შეიმუშავეს, რომ მისი წაკითხვა ხმა-მაღლა 23 მინუტის განმავლობაში შეიძლება. ის ირლანდიის 1881 წლის სამიწათმფლობელო კანონის მხოლოდ მეოთხედს უდრის. მიუხედავათ ამისა ორივე ქვეყნის კონსტიტუცია, ზოგიერთ კითხვებს გარდა, ერთისა და იმავე შინაარსს შეიცავს; სახელდობრ ისეთ კანონებს, რომელნიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, მათ დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან და ამ უკანასკნელის ორგანოების უფლებებს (კომპენტენციას). ჩვეულებრივი კანონები უმთავრესათ მოქალაქეთა ურთიერთ დამოკიდებულებას ეხებიან და ამიტომ შეგვიძლია მათ სამოქალაქო კანონები ვუწოდოთ. კონსტიტუციონური კანონები კი ეხებიან სახელმწიფოს, როგორც მთელს, ასე რომ ისინი მოქალაქეთა და სახელმწიფოს ურთიერთ დამოუკიდებლობას, მათ პოლიტიკურ უფლებებს განსაზღვრავენ.

კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში მართვა-გამგეობის სათავეთ ხალხი ითვლება, სულ ერთია, აქვს თუ არა მას დაწერილი კონსტიტუცია. კონსტიტუცია შემუშავებულია ხალხის სახელით ხალხისავე წარმომადგენლების მიერ. ასე, რომ ქვეყნის მმართველები თვითონ ემორჩილებიან უმთავრეს ბატონს—კანონს. კანონმდებლები კი ცვლიან ან ადგენენ ახალ კანონს იმ პრინციპების მთავარ აზრის მიხედვით, რომლებიც კონსტიტუციაშია გატარებული. ასეთ წყობილებას უფლებრივი სახელმწიფო ეწოდება; ის სრულებით არა გავს იმ თვითნებობაზე აგებულ წყობილებას, რომელიც ძალას ხალხს კი არა, მთავრობას ანიჭებს. ამოვწერთ რამდენიმე ადგილს სხვა და სხვა ქვეყნის კონსტიტუციებიდან, სადაც გატარებულია ხალხის მმართველობის პრინციპი:

„უმაღლესი მთავრობის უფლება ერთი, განუყოფელი, ხელუხლებელი და შეურყეველია; ის ერის კუთვნილებაა; არც ერთ ჯგუფს მოქალაქეთ, არც ერთ კერძო პირს მისი მითვისება არ შეუძლია“, ასე სწერდენ საფრანგეთის დამფუძნებელი კრების წევრები 1791 წ.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ასეთი დიდებული სიტყვებით იწყება: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხმა, რათა შევქმნათ უფრო სრული კავშირი, დავამყაროთ სამართლიანობა, უზრუნველვყოთ შინაური მშვიდობიანობა, მოვაწყოთ საზოგადო დაცვის საქმე, განვავითაროთ ხალხის კეთილდღეობა და განვამტკიცოთ თავისუფლება ჩვენთვის და ჩვენი ჩამომავლობისთვის,—ვარდგენთ და ვაკანონებთ ამ კონსტიტუციას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

1831 წ. ბელგიის საკანონმდებლო კრების წევრებმა მოკლეთ და გარკვევით დასწერეს:

„ყოველგვარი უფლება ხალხისაგან გამომდინარეობს“.

აღნიშნული მაგალითები ნათლათ გვიჩვენებენ, თუ რა პრინციპზეა აგებული სახელმწიფო უფლება კონსტიტუციონურ სახელმწიფოში.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ევროპასა და ამერიკაში ბევრი აქ გამოთქმული პრინციპი მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი. მაგრამ ჯერ ჩვენთვის საჭიროა აღვნიშნოთ ეს პრინციპი, რომელიც ზოგ კონსტიტუციებში დაწერილია და ზოგში ზეპირათ იმეორებენ. უჩვენებს რა მართვა-გამგეობის სათავეს, კონსტიტუცია აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, თუ რა და რა დაწესებულებებს აბარებს ხალხი თავის საქმეებს, როგორ ნაწილდება მათ შორის უფლება და რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მათ შორის. ჯერ თავი დავანებოთ ამ დაწესებულებათა დაწვრილებით დახასიათებას და აღვნიშნოთ, რომ ისინი განიყოფებიან სამ უმთავრეს ჯგუფებათ: კანონმდებლობა, აღმასრულებელ, ძალა და სასამართლო. პირველის მოვალეობაა კანონების შემუშავება, გადასინჯვა, დამატება და აგრეთვე გამოცემა იმ კანონებისა, რომელნიც ეხებიან სახალხო ბიუჯეტს, ე. ი. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს; მეორეს მოვალეობას შეადგენს ამ კანონების ასრულება, ე. ი. არსებულ კანონების თანახმათ ქვეყნის მართვა გამგეობა; მესამე—სასამართლო—ამა თუ იმ კანონს ცხოვრების კერძო მხარეებს უფარდებს და ამგვარათ მის აზრს არკვევს. მათი ურთიერთი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გვარია. ყველა კონსტიტუციაში ნათლად არის გარკვეული, თუ რა მოვალეობა აწევს მმართველობის ამა თუ იმ ორგანოს. მოხსენებულია აგრეთვე მოქალაქეთა უფლებანი, მათი და მთავრობის დამოკიდებულება და ნაჩვენებია ის საშუალება, რომლის შემწეობითაც შეიძლება მთავრობის ძალმომრეობის ალაგმვა. კონსტიტუცია შეიცავს აგრეთვე დებულებას ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ, როგორიცაა ქალაქის და ოლქის თვითმართველობები მათი უფლებანი, მოვალეობანი და სხვა.

აი მოკლეთ ის უმთავრესი კანონები, რომელნიც სხვადასხვა კონსტიტუციაშია მოთავსებული. მათი დაწერა სხვადასხვა გვარათ შეიძლება. შესაძლოა კონსტიტუციაში აღნიშნული იყოს უმთავრესი პრინციპი პარლამენტისა და სამინისტროს სახელმძღვანელოთ და ამ უკანასკნელთ მიენდოს მისი ახსნა-განმარტება მრავალ-გვარი წვრილი კანონების და ბრძანებების შემწეობით. შესაძლოა აგრეთვე დაწვრილებით და ყოველმხრივ იქნას განხილული კონსტიტუციაში აღნიშნული დებულება. მაგრამ როგორი ჭკვიანიც უნდა იყვენ აღჭურვილნი კონსტიტუციის შემდგენელნი, იმათ მაინც არ შეუძლიათ წინდაწინ გაითვალისწინონ ყველა ის შემთხვევები, რომელთანაც კონსტიტუციას საქმე ექნება, ამიტომ ბევრი რამ დამოკიდებულია იმ ახსნა-დაფასებაზე, რომელსაც მიიღებენ შემდეგში კანონმდებლები, ადმინისტრატორები და მსაჯულები. კონსტიტუცია ნამდვილ ძალას მაშინ პოულობს, როცა ხალხს მისი შინაარსი შესისხლ-ხორცებული აქვს. თუ კი ხალხს შეგნებული აქვს თავისი მოქალაქეობრივი უფლებანი და იმისი დაცვა ძალუძს, ასეთ ხალხზე თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას კონსტიტუცია აქვს,—საჭირო არ არის, რომ ეს კონსტიტუცია უსათუოთ დაწერილი იყოს. პირიქით, თუ ხალხს არ შეგნია თავისი მოქალაქეობრივი უფლ... ის თავს ვერ დააზწევს მთავრობის ძალმომრეობას, რა გინდ ლამაზი სიტყვებით დაწერილი კონსტიტუცია ქონდეს. ავ... მაგალითისთვის წერის და სიტყვის თავისუფლება. „ადამიანთა უფლების დეკლარაციაში“ საფრანგეთის დამფუძნებელი კრების წევრები 1791 წ. სწერენ:

„აზრთა და შეხედულებათა თავისუფლება აღიარება ადამიანის უძვირფასესი უფლებათაგანია; ყველა მოქალაქეს ნება აქვს ილაპარაკოს, სწეროს და ბეჭდოს, რაც უნდა; ის შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ თავისუფლების ბოროტ მოხმარებისათვის, რაც აუცილებლათ კანონში უნდა აღნიშნული“. თვითონ 1791 წლის კონსტიტუცია აი რას ამბობს ამის შესახებ:

„კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს, როგორც ბუნებრივ უფლებას... აზრების თავისუფლათ გამოთქმას, წერას, ბეჭდვას; ხელითნაწერი თავისუფალია წინასწარი ცენზურისა ან რაიმე ზედამხედველობისგან გამოქვეყნებამდის“.

პირველი დებულების ძალით პარლამენტს ნება აქვს ბევრ რამეს „თავისუფლების ბოროტად მოხმარება“ უწოდოს და ბეჭდვითი სიტყვის შემავიწროებელი კანონები გამოსცეს; მეორე დებულებას სახეში აქვს თავისუფლების უზრუნველყოფა, მაგრამ მხოლოდ ერთ საშუალებას იძლევა—წინასწარ ცენზურის უარყოფა. ვერც მაღალმა ფრაზებმა ვერ იხსნეს საფრანგეთის მწერლობა ცენზურის კლანჭებისგან. თითქმის ასი წლის გამოცდილება მედგარი ბრძოლა იყო საჭირო იმისთვის, რომ მოქალაქეთ მოეპოვებიათ

მა კინაღამ გაიტანა, რომ ერთ კონდუქტორს (ქორიძეს) არ გადაერჩინა. ამის მნახველმა ობერ კონდუქტორმა იანუშკევიჩმა ღიმილით შენიშნა ქორიძეს: „რას იწუხებდი თავს, გაექულიტა, ერთი ურიით ნაკლები იქნებოდა ქვეყანაზეო“. საქმე იმაშია, რომ მოვაჭრე ქალი ებრაელი იყო, ხოლო ობერ-კონდუქტორი ვინ უნდა იყოს, მკითხველმა გამოიცნოს.

✦ გუშინ საღამოს 5 საათზე და ოც წუთზე მიხეილის და კირიჩნი ქუჩის კუთხეში მდგომ გაზეთის გამყიდავ ბავშს, სახელად გიგო მაზმანაშვილს ვიღაც სიმთვრალისაგან გალოშულმა პოლიციელმა სულ უმიზეზოდ მწარედ ჩასცა თავში თოფის კონდახი და გაუტეხა. ბავშა მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო პოლიციელი კი არხეინად გაუდგა თავის გზას პოლიციელის ნომერი 322.

—

**შეცდომის გასწორება.** მუშა ხუნწუზის წერილში „ბურჟუაზია და მუშათა კლასი რევოლიუციაში“ რამდენიმე კორექტურული შეცდომა შეგვეპარა. სწერია: „ასეთია მეორეგვარი რევოლიუცია და ამის მაგალითებს შეადგენს 1848 წლის საფრანგეთის თებერვლის და ი ა ნ ვ რ ი ს რევოლიუცია“. უნდა იყოს: „თებერვლის და ი ვ ლ ი ს ი ს რევ.“ ბოლოში სწერია: „მიხვედრილია კლასობრივ ინტერესთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.“ უნდა იყოს: „წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს“.

## მუშათა შორის.

—

**აფიცერთა საზოგადოების სამკერვალო.** საზარელი წარმოადგენია ის აუტანელი პირობები რომელშიაც მკერვალების შეგირდები ვცხოვრობთ. ჩვენთვის არ არსებობს არც განსაზღვრული მუშაობა, არც რიგიანი საზრდო, არც ტანისამოსი. ქუჩაში უპატრონო ხელ გაწვდილი მათხოვრებისგან ვერ გაგვარჩევს კაცი; მუდამ ჭუჭყიანი, მუდამ მშივრები. აი ჩვენი ხვედრი.

ოსტატებთან ყველასი ვადით ვართ, რისთვისაც პირობის ქაღალდია დაწერილი მოწმეების თანდასწრებით, აგრეთვე ფულით ჯარიმაა დაწესებული პირობის დამრღვეველისთვის. ასეთი ხელშეკრულობის ძალით, მონურ მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნული. დღეც და ღამეც ოსტატებთან ვართ, ქარხანაში მუშაობის შემდეგ ოსტატის ცოლ-შვილის ბრძანებას უნდა ვემორჩილებოდეთ, კვირა დღეს დასვენების მაგივრათ კიდევ უფრო გვემატება წვალება. იატაკს და ჭურჭელს გვარეცხინებენ და ვინ მოსთვლის ჩვენი „ხაზეინების“ რა საქმეებს არ გამოჩხრეკავენ. გარდა ამისა ბრძანება მსწრაფლ და მორჩილებით უნდა ავასრულოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლაზათიანი „გაროზგვა“ აუცილებელია.

ალბათ ასეთი ცუდი პირობების ბრალია, რომ შეგირდებში გახშირებულია ავათმყოფობა.

ჩვენი ოსტატები ერთობ დაინტერესებულნი არიან, რომ შეგირდობის ვადა როგორმე გააგრძელონ, ამიტომ ძალიან ცდილობენ, რომ ხელობა სრულათ ვერ შევისწავლოთ. ვადათ ოთხი—ხუთი წელიწადი არის დადებული, რის შემდეგაც გულ მტკივნეულობით მოგვმართავენ ხოლმე: „შვილო, ჯერ ხელობა არ იცი კიდევ როგორც რიგია, სხვაგან რომ წახვიდე არავინ გამუშვებს, დარჩა ერთი ორა წელიწადი კიდევ“. ჩვენც იძულებული ვართ დავეთანხმოთ, რადგან მართლაც ხელობა არ ვიცით, რაც ოსტატების მეცადინეობით ხდება.

სასიხარულოთ, ყველა ქარგლები ამ ოსტატებს არ გვავან. მათ შორის შეგნებულებია, და ესენი წინააღმდეგია ასეთი ექსპლოატაციის. ამ ერთი წლის წინეთ მუშების ერთმა ნაწილმა, როგორც იქნა დაიყოლიეს შეგირდებიც და ქარგლებიც, რომ თვიური მოთხოვნები წაეყენებიათ, და შეგირდები „აფიცერთა საზოგადოებაზე“ გადასულიყო და ჯამაგირები დაენიშნოდა. სამუშაო დღე 5 საათ. უნდა ყოფილიყო, მართლაც წარადგინეს ასეთი მოთხოვნები და გაიფიცნენ. მაგრამ შეგირდებიანმა ქარგლებმა გაფიცულებს უღალატეს იმ დროს, როცა გაფიცვას სასურველი ბოლო უჩნდა, ამათ უარყვეს წაყენებული მოთხოვნები და სხვა ახალი წარადგინეს (ნაჭრებზე ფასების მომატება). ამნაირათ გაფიცვა წაგებულ იქმნა და დღესაც ჩვენი ოსტატების სასურველი ნაჭრობით მუშაობა არსებობს.

ვნახოთ რა როლს ითამაშებენ ქარგლები მომავალ გაფიცვაში, რომლითაც შეგირდებს მონახიდათ ასე თუ ისე განთავისუფლებას მოველით.

**შეგირდი.**

—

### ძმათა ამირაგოვების კანფეტების ფაბრიკა.

29 ივლისს გაიფიცნენ ძმათა ამირაგოვების კანფეტის ფაბრიკაში მომუშავე ბავშვები და წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1. მოისპოს ნარდი მუშაობა და დაწესდეს დღიური ამ სახით; ა) ყველა ძველ მომუშავეს (კანფეტის შემხვევებს) დაენიშნოს დღეში ექვსი შაური. ასევე უნდა მოექცნენ იმ ახლათ მიღებულ მუშებსაც, რომლებსაც სხვაგან უმუშავნიათ ამ ხელობაში. ბ) გამოუცდელ ახალ მუშებს პირველ სამ თვეს დაენიშნოს დღეში 20 კაპ., ხოლო სამი თვის შემდეგ 30 კ. გ) თითოეულ მუშას ჰქონდეს ცალკე განსაზღვრული საქმე და სხვა არა ეკითხებოდეს რა.
2. შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე.
3. წასვლის დროს გაჩხრეკა მოისპოს.
4. დილით ჩაი და ორი ნატეხი შაქარი.
5. ზრდილობიანი მოპყრობა.
6. გაფიცვისთვის არავინ იქნას დასჯილი, ხოლო თუ ვინმე დაითხოვონ მიეცეს სამი თვის ჯამაგირი.

გაფიცვა ერთ დღეს გაგრძელდა და მუშა ბავშვების მოთხოვნები სრულიად დააკმაყოფილეს.

**ტყიბულის ნახშირის მაღაროები.** „ნახშირის“ მუშების გაფიცვა არა სასურველათ დაბოლოვდა (რასაკვირველია მუშებისათვის).

ამის მიზეზი ის იყო, რომ აქაური მუშები სამ ნაწილათ არიან გაყოფილი: 1, არტელი; 2, პოდრაჩიკები და 3, კანტორის მუშები. ეს სამივე რიგის მუშები ერთიმეორეს ეჯიბრებიან, რითაც ერთმანეთს ამარცხებენ, და მით მუვლეფელებს ახარებენ. ერთი მეორეს მეტოქეობით სუსტდება მუშათა ერთობა. აქაურ ნახშირის მაღნზე 700 კაცამდე მუშაობს, რომლებიც თვეში ამზადებენ 300 ვაგონ წმინდა ნახშირს, დღეში 10 საათის მუშაობით; ჯამაგირი დღიურათ 80 კაპეიკია. აქაური მუშები 10 საათის განმავლობაში სულ მოუსვენრათ მუშაობენ. იმისთვასაა, რომ 700 კაცი 1000 კაცის საქმეს ასრულებს, და შრომის ფასს 300 კაცისასაც არ იღებს. უკანასკნელათ მუშებმა მოილაპარაკეს და შემდეგ აზრს დაადგნენ: „საჭიროა მოვითხოვოთ 8 საათის სამუშაო დღე და სხვ.“.

აქ ახალი ტუნელი გაყავთ, სადაც დიდი საფრთხე მოელის მუშებს, თუ მაგარი ბოძებით არ იქნა გამაგრებული.

შოველი

## პროვინცია.

—

**ფოთი.** ამ რამდენიმე დღის წინეთ ფოთში ჩამოვიდა 250 კაცი ცნობილი სამსონ ჩიქოვანის მეთაურობით. ისინი მიადგნენ მარგანეცის მუშებს და უთხრეს: გინდათ თუ არ გინდათ სულ ერთია უნდა დაგვითმო სამუშაოო“.

ვინ არის ეს სამსონ ჩიქოვანი, ან ვინ არიან ის მუშები, რომელნიც მის მეთაურობით ილაშქრებენ თავიანთ ამხანაგების წინააღმდეგ?

სამსონ ჩიქოვანი წინეთ მოიჯარადრეთ მსახურებდა მარგანეცის ადგილობრივ მრეწველებთან. ეს ნაფიცი რეაქციონერია. ეს ის ვაჟბატონია, რომელმაც ამ ორი წლის წინეთ ხატზე დააფიცა მუშები, რომ მათ არავითარი კავშირი არ დაეჭირათ გურულებთან და ყოველივე ღონით ეომათ ახალი მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ის ვაჟბატონია, რომელმაც ყოველი საშუალება იხმარა, რომ მეგრელები გურულებს გადაჰკიდოდენ. ის არავითარ საშუალებას არ ერიდება მუშათა სოლიდარობის წინააღმდეგ. როგორც ასეთმა მან შეგნებულ მუშებში უკვე დაიმსახურა შესაფერი სახელი ორი წლის წინეთ, როცა მოძრაობა გაძლიერდა; როცა მუშების უმრავლესობამ გაარჩია მტერი მოყვრისაგან, ბ-ნი ჩიქოვანი იძულებული იყო გამოსთხოვებოდა თავის მსუქან ადგილს. ის ასეც მოიქცა, მაგრამ მუშებისადმი შურის ძიება კი გულის სიღრმეში დამალა და განუწყვეტლივ ცდილობდა თავის მუშების ჯინი ეყარა. პოლიციისა და ბნელი ძალების მეთაურობით ის მუდამ აკავშირებდა შეუგნებელ მუშებს და უღვივებდა მათ შურსა და მტრობას თვით ამხანაგების წინააღმდეგ. ახლა მან მარშრუტი შესცვალა. სულ ერთია ვინც უნდა იყოს, მეგრელი, გინდ გურული, ყველას იწოდებს თავისთან, ოღონდ მარგანეცის მუშების წინააღმდეგ კი წავიდეს. ამნაირი აგიტაციით მან არა ერთხელ და ერთს ადგილას მოსინჯა ნიადაგი, მაგრამ დეკემბრის ბოლომდის ვერსად გაიმარჯვა.

დადგა იანვრის სუსხიანი დღეები აშმორდა რუსეთის ჰაობი. ამოძრავდნენ რუსეთის ბნელი ძალები. ამ საერთო ფერხულში ჩაება სამსონ ჩიქოვანიც. ის შეუდგა თავის მოღვაწეობის გაგრძელებას და მართლაც მოახერხა სხვა და სხვა სოფლებიდან რამდენიმე (ეხლა 250-ზე მეტია) მუშების შეკავშირება, კაპიტალისტთა და რეაქციონერთა რჩევით ის დაადგა „კანონიერ“ გზას. სამხელ შეიტანა საჩივარი გუბერნატორთან. უკანასკნელათ კოლექტიურიც კი იყო. ამის შესახებ გუბერნატორმა სხვა და სხვა განკარგულება მოახდინა; ხან კერძო მინდობილებათა მოხელე აგზავნა, ხან პოლიცმეისტერს მოსწერა და სხვა. ყველანი კანონიერათ სცნობდნენ ჩიქოვანის საჩივარს, მაგრამ გადაჭრით ვერავინ ვერ ურჩია მას ძნელი მომუშავე მუშების ტყუილ უბრალოთ დათხოვა და მის ადგილზე ჩიქოვანის არტელის ჩაყენება. უკანასკნელათ გუბერნატორის მოწერილობა 12 ივლისს მოუვიდა ბ ნ ნიკოლაძეს. გუბერნატორი სთხოვს მას შეაყენოს მომრიგებელი კომ. სია და ადმინისტრაციის თანადასწრებით შეეცადოს მუშების მორიგებას. ბ-ნი ნიკოლაძეც ასე მოიქცა, დაიბარა ორივე მოპირდაპირე მუშების წარმომადგენელნი და ბოქაული ხაბურზანიას თანადასწრებით მოახდინა მოლაპარაკება. კრებაზე სავსებით გამოირკვა მომხდურებისა და მათი ბელადის სამსონ ჩიქოვანის ფიზიონომია. პირველათ მუშები არ გატყდნენ, დაჟინებით ამბობდნენ: „ჩვენ ჩვენით შევიკრიბენით, ჩიქოვანი არ არის ჩვენი შემაკავშირებელი, ის მხოლოდ ვექილია ჩვენი“-ო. ილაპარაკეს რამდენიმე ამხანაგებმა და ყველამ ხაზი იმას გაუსვა, რომ მათი უმუშევრათ (ისინი უმუშევარნი არიან) დარჩენის მიზეზი დღევანდელი მომუშავე ამხანაგები კი არ არიან, არამედ ტეხნიკის გაუმჯობესება, წარმოების ულმობელი პირობები; საკუთრების დღევანდელი ფორმა, სახელმწიფო თუ დროებითი წესები. რომელიც კიდევ უფრო ამრავლებენ მათ რიცხვს. ბ-ნმა ნიკოლაძემაც თავის ვრცელ სიტყვაში მოიყვანა, რამდენიმე მოსაზრება და დაასკვნა „აი თუ მივიღებთ ყველა ამას მხედველობაში, თქვენი აქ, ამნაირი გამოლაშქრება უადგილოა და თქვენივე (საზოგადოთ დაქირავებულ მუშების) დამღუპველია. სჯობს დაანებოთ ამას თავი“-ო. მაგრამ ამათ. არავითარმა რჩევამ მათზე არ იმოქმედა.— „მოგვეცით სამუშაო სანახევროთ; ერთ თვეს ჩვენ ვიმუშავებთ, ერთ თვეს იმათ იმუშავონ“-ო. ამაზე ადგილობრივი მუშები უპასუხებენ; „მიუხედავათ იმისა, რომ თქვენი მოქმედება საზიზღარი, რეაქციონურია, საზოგადოთ მუშათა პარტიის ჩირქის მომცხები, მისი დამღუპველია და ეწინააღმდეგება წარმოების კანონებს, დღეს ჩვენ მაინც არ გვცალია თქვენთვის. ჩვენ არ გვინდა თქვენი შეუგნებლობით საერთო მტრები გავახაროთ, ამიტომ ვიძლევით შემდეგ გადაჭრილ წინადადებას—ამოვირჩიოთ კომისია ორივე მოპირდაპირე მხარეთ, თანასწორი წევრებით და მივანდოთ მას, მოწინავე ამხანაგების თანადასწრებით, საბოლოოთ გაარჩიონ ჩვენი საქმე; თუ შესაძლებლათ სცნობენ იმათვე შეუძლიათ ამოკრიბონ თქვენგან უკიდურესი ღარიბები და გადასცენ ადგილობრივ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭოს, რადგანაც ჩვენ ვალდებული გავხდით უკვე, თუ ადგილი დაგვირჩება, მავიღოთ მუშები მხოლოდ მუშათა საბჭოსაგან“. ეს წინადადება ჩიქოვანისტებმა უარჰყვეს. ამით დაიშალა კრება. კრების შემდეგ ჩიქოვანისტები კიდევ მივიდნენ ბ-ნ ნიკოლაძესთან კერძოთ მოსალაპარაკებლათ. ნიკოლაძემ ურჩია მათ თვითონ შეკითხებოდნენ ადგილობრივ მრეწველებს, ვინ იცის ეგებ ჩიქოვანი მართლა გატყუილებთ, მრეწველებმა არც კი მიგიღონ, რომ მიხვიდეთო. ისინი მართლაც ასე მოიქცნენ. მეორე დღეს ამ საქმის შესახებ ქალაქის გამგეობაში გაიმართა მრეწველთა კრება მათ ერთხმათ განაცხადეს: „ჩვენ არასოდეს (ასე მალე დაგავიწყდათ?) არავის არ დავპირებივართ (?) მაგ მუშების მიღება; მართალია ეხლანდელი მუშები მოზრდილ ქირას იღებენ, მაგრამ რადგანაც ქვანახშირს დღეს კარგი ფასი აქვს ბაზარზე, ჩვენც არ ვზარალობთ და ისევ ძველი მუშები გვირჩევნია, ჩვენ არც ერთი გამომძიებელისთვის არ გვითქვამს სამაგისო არაფერი, რაც თქვენს მოწერილობაში არის“-ო. (ნუ თუ?!) ბ-ნმა ნიკოლაძემაც ეს აზრი გაგზავნა გუბერნატორთან. გმირი ჩიქოვანი კი ჯერ-ჯერობით დარჩა პირში ჩალა-გამოვლებული. ეხლა ხომ მაინც აშკარაა ბ-ნ ჩიქოვანის ფიზიონომია. მას მსჯავრს მომავალი დასდებს. ჩვენ მხოლოდ ურჩევთ ამხანაგ მუშებს დაიხსომონ ყოველივე ეს და შემდეგ მაინც არ აჰყვენ ჩიქოვანების ფეხის-ხმას.

ვინ-ღან

—

**ს. მუკუზანი** (კახეთი). 28 მკათათვეს ამავე სოფელში მცხოვრებ თავად რაჟდენ ბეგზერელს წვეულება ქონდა. მოწვეული ჰყავდა ბოქაული თავის სტრაჟნიკებით. საღამოს 8 საათზე თავს დაესხნენ 30 შეიარაღებული ყაჩაღი, გაძარცვეს ბოქაული, ხოლო სტრაჟნიკები გაიქცნენ. ბოქაულს წაართვეს იარაღი და თუ ებადა რამე. ამ დროს გაიგო გელისციხის მამასახლისმა დარჩო ისაკოვმა, რომ მუკუზანში ყაჩაღები დასცემიათო. შეატყობინა სტრაჟნიკებსა, თავის გზირებსა და ხალხს და უბრძანა, რომ შეიარაღებულიყვნენ მუკუზანში გასამგზავრებლათ. ამათაც აასრულეს მამასახლისის ბრძანება ხელათ შეიარაღდნენ და თამამათ გაემგზავრნენ 15 კაცამდის დარჩო ისაკოვის წინამძღოლობით.

თუმცა დარჩო ისაკოვს ეგონა, რომ სიუხადეს გამოვიჩენო, მაგრამ ამათ იმედები გაუცრუვდა.

მუკუზანს როცა მიახლოვდნენ, წინ მიეგება ყაჩაღთა ბრბო და უბრძანეს წინამძღოლს, რომ იარაღი აეხსნა, წინამძღოლმა მაშინვე შეასრულა ყაჩაღთა ბრბოს ბრძანება, აიხსნა აინალი, ხანჯალი რევოლვერი და გადასცა იმათ. სულ ღირდა 200 მ. მერე მობრუნდა და უბრძანა თავის რაზმელებს, რომ იმათაც გადაეცათ იარაღი, რაც მაშინვე ასრულებულ იქნა.

მამასახლისს ეგონა თუ კიდევ გაიმარჯვებდა, ისე, როგორც წარსულ კვირეებში თავის ბიძაშვილ აბელა ისაკოვზე, მაგრამ ამ ფიქრებმაც სულ ამაოთ ჩაუარა დანაღვლიანებული დაბრუნდა სახლში. ერთი მედალი მიიღო მთავრობის ერთგულებისათვის, მაგრამ მეორეზე ბედმა უმტყუნა. ეხლა გვთხოვს რომ მამასახლისობა ჩამოართვითო.

ტყემალი

—

**ქიზიყი.** სოფელ ბოდბისხევის საზოგადოებამ 27 ივნისს მოახდინა ყრილობა, რომელზედაც უნდა გაეთვალისწინებინა მომრიგებელ შუამავალის თავ. ჯორჯაძის ინიციატორობით გამოწვეულ მიწის მზომელთა საქმე. სოფლის ბობოლებმა განაცხადეს: შეუძლებელია მიწის მზომლები დავითხოვოთ, რადგან ეს მთავრობას ეწყინებაო. მაგრამ, როდესაც ერთმა ამხანაგმა აუხსნა ხალხს მიწის მზომელთა მოსვლის მიზანი, რომ უბრალოთ ხარჯის მეტი მათ არაფერი მოელოდათ; ამასთანავე აუხსნა მთავრობის დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი რევოლიუციის ძალა, ხალხმა ერთხმათ უარჰყო მიწის მზომლების მიღება. როდესაც ამხანაგი თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ გარემოებას ხსნიდა, ამცნობდათ მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობას, ბობოლები ხმა ჩამქრალნი, გაფითრებულნი იდგნენ და შიშით ხმას ვერა სძრავდნენ, რადგანაც ხედავდნენ თვისი გაქრობის მოახლოებას. ხოლო ერთმა ძველმა ქურდმა სიფხიზლეში რომ ვერაფერი გაბედა, დუქანში გადაჰკრა და მთვრალი მივარდა ამხანაგებს, რომლებთანაც ჩხუბის ატეხა უნდოდა; მარა შეატყო ხალხს რასაც უზამდნენ ამისათვის და ისევ ყვირილი და ლანძღვა მორთო: თქვენ დაგვღუპეთ, დაგვანელეთ, მოგვცილდით, თავი დაგვანებეთო. სანამ თქვენ გაჩნდებოდით პოლიციას დიდი ნდობა ქონდა ჩემი, და ეხლა ზედაც არ მიყურებს და თოფიც კი ჩამომართვესო. ეს ვაჟბატონი გახლავთ მრავალჯერ ოქმ შედგენილი, ციმბირში გასაგზავნათ გამზადებული ქურდობისთვის. მარა მამა მისი, როგორც მდიდარი მეოჯახე, ყოველთვის ქრთამით უიდულობდა მას პოლიციისგან. ქიზიყელ შარლატანებს საშინელ მეხსა სცემს გაზეთში მათი საქციელის გამოცხადება. ასევე თავზარ დაცემულია დ. ზურაბაშვილი გაზ. „სიმართლეში“ მისი ქურდობის გამოცხადების გამო. ეს ვაჟბატონი სცდილობს შეადგინოს ბრბო მისი გაზეთში დამწერის მოსაკლავათ და ყველა ამხანაგ აგიტატორების სადევნათ.

**ვრემენაშვილი.**

## რუსეთი

—

**წესიერების დამცველები ექსპროპრიატორების როლში** ამ ცოტა ხანში პეტერბურგის სამხედრო სასამართლოს გაურჩევია სახელოვან სემიონოვის პოლკის ოთხი სალდათის საქმე. ვნების კვირაში დიდ ხუთშაბათს ისინი შეპარულან ერთი ვაჭრის ბელეთში და რაც საკბილო მოხვედრიათ, წაუღიათ. პირველი დღის გამარჯვებით წათამამებულან და შემდეგშიაც გაუგრძიათ ექსპროპრიაცია. სასამართლომ მათ ღირსება ახადა და გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვეტია.

— პეტერბურგის მაზრის ერთ სოფელში დაუჭერიათ სამი ყაზახი მეექვსე ბატარეისა, როცა ისინი სანოვაგის საწყობს სტეხდნენ. დაჭერის დროს ერთი ყაზახთაგანი ხანჯლით ცდილა სალდათების მოგერებას.

— გაზეთ „ნაროდ“-ის სიტყვით აფიცერთა ეკონომიურმა საზოგადოებებმა დიდძალი მოსაგები ნახეს რუსეთ-იაპონიის ომის დროს თვითონ ბრძოლის ველზე—მოუგიათ ერთი მილიონი და რვა ათასი მანეთი.

**რაინდი აფიცრები.** 28 ივლისს, როცა

---

თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა—ე. ი. ამ თავისუფლების დაცვა, თუ ვინმე გაბედავს მის შებღალვას.

ბელგიელი კონსტიტუციონალისტები 1831 წელს უფრო გარკვევით და მარტივათ სწერდენ: „მწერლობა თავისუფალია; ცენზურის დაწესება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; მწერლებს, გამომცემლებს და სტამბების პატრონებს ვერავინ ვერ მოსთხოვს ვერც გირაოს და ვერც თავდებს“.

„გამომცემელი, სტამბის პატრონი და წიგნების გამყიდავი პასუხს არ აგებენ, თუ ავტორის ვინაობა გამომჟღავნებულია და მისი საცხოვრებელი ადგილი ბელგიაშია“.

აქ კონსტიტუციას სახეში აქვს მწერლის პასუხის-მგებლობა ცილისწამებისა, შეურაცხყოფისა, წაქეზებისათვის და სხვ. არსებული კანონების თანახმათ. ეს კანონები პარლამენტის ხელშია; მათი სისრულეში მოყვანა ადმინისტრაციის საქმეა. მაგრამ, სამაგიეროთ, ბელგიაში არც პარლამენტს და არც ადმინისტრაციას ცენზურის შემოღების ნება არ აქვთ. ამაში ისინი კონსტიტუციას უნდა დაემორჩილონ.

რა საშუალებით მყარდება კონსტიტუციონური კანონების უპირატესობა ჩვეულებრივთან შედარებით? ფაქტიურათ ეს ხალხზეა დამოკიდებული; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ როლს, რომელსაც ისინი სახელმწიფოს ცხოვრებაში თამაშობენ. იურიდიულათ—კანონით, ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მათი (კონსტიტუციის) შედგენა ევალება განსაკუთრებულ კრებას.—დამფუძნებელ კრებას. მათი შეცვლა, შევსება, ან სრულიად მოსპობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაცულია განსაზღვრული ფორმალური პირობები, ხმების განსაზღვრული უმრავლესობა და სხვ.

საფრანგეთში, მაგალ., კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს ორივე პალატა და მათი წევრების უმრავლესობა (და არა მხოლოდ კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა) დათანხმდება; მათ შეუძლიათ ასე მოიქცნენ საკუთარი მოსაზრებით ან პრეზიდენტის წინადადებით, რისთვისაც ისინი ერთდებიან ერთ „საერო კრებათ“, რომელიც სცვლის კონსტიტუციის ამა თუ იმ მუხლს წევრთა ხმების უმეტესობით. ბელგიაში, როცა განაცხადებენ კონსტიტუციის შეცვლის საჭიროებას, ორივე პალატა იშლება და ახლად არჩეული დეპუტატები პირდაპირ დამფუძნებელი კრების როლს ასრულებენ. ეს ახალი არჩევნები იმის მაჩვენებელია, სურს თუ არა ხალხს კონსტიტუციის შეცვლა. არც ერთ ქვეყანაში არავინ არ აცხადებს კონსტიტუციის შეცვლის საჭიროებას, თუ ეს ხალხისთვის არ არის საინტერესო. ინგლისში, სადაც, როგორც ვიცით, არ არსებობს ფორმალური განსხვავება კონსტიტუციონურ და ჩვეულებრივ კანონებ შორის, ყოველი კანონი—ქორწინების შესახებ იქნება ეს თუ კრების თავისუფლებაზე—შემოდის და უქმდება პარლამენტის ჩვეულებრივი დადგენილებით. მაგრამ რომელი კანონისთვის იბრძვის ამა თუ იმ დროს პარლამენტი, ეს შეგვიძლია გავიგოთ ხალხის ცხოვრების მიმდინარეობიდან, მისი ამა თუ იმ მოთხოვნილების გათვალისწინებიდან. რა დიდი უფლებაც უნდა ქონდეს პარლამენტს თეორეტიულათ, მისი მოქმედება მაინც დამოკიდებულია საზოგადოების სურვილზე. თუ ხალხი შეგნებულათ ეპყრობა თავის კონსტიტუციას და მის ასე თუ ისე შეცვლას, ცხადია, პარლამენტის მოქმედება ქუჩის მოძრაობის გამოხატულება იქნება.

კონსტიტუციის გადასინჯვა არ შეადგენს მისი შეცვლის ერთად ერთ საშუალებას. ყოველი კონსტიტუცია იცვლება აგრეთვე თვითგანვითარების პროცესში: იმისი საზოგადო შინაარსის მუხლები ცხოვრებაში ამა თუ იმ ახსნა-განმარტებას ღებულობს და ამგვარათ ის თანდათან იცვლება. იმას, რაც დაწერილია, ემატება შეთანხმება იმის შესახებ, რომ დაწერილი ასე და ასე გავიგოთ. კონსტიტუციის განმარტება ინგლისში და განსაკუთრებით ამერიკაში მსაჯულების საქმეა, სხვა ქვეყნებში კი საუბედუროთ ამ როლს მთავრობა ასრულებს. მაგ. ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ კავშირები შეადგინონ; მაგრამ გარკვევით არ არის ნაჩვენები რა სახის შეიძლება იყოს ეს კავშირები.

„მოქალაქეთ ნება აქვთ კავშირები შეადგინონ; ამის შესახებ არავითარი წინასწარი დადგენილება არ არის საჭირო“, მოკლეთ გვამცნევს კონსტიტუციის მე-20 მუხლი. მაგრამ როცა გენტის მუშებმა შეადგინეს კავშირი და გაიჩინეს საკუთარი კასა გაფიცულთა დასახმარებლათ, პირველ გაფიცვის დროსვე მთავრობამ მათ ეს კასა ჩამოართვა. თურმე, როგორც შემდეგ მთავრობის განმარტებიდან გამოირკვა, კავშირის შედგენის უფლება კიდევ არ ნიშნავს საზოგადო საკუთრების შეძენის უფლებას: ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა ყოფილა საჭირო. თუ როგორ შეუმჩნევლათ იცვლება კონსტიტუციის შინაარსი ცხოვრების განვითარებასთან ერთათ, ამის მაგალითათ შეგვიძლია ავიღოთ პრეზიდენტის უფლება, რომ ვადის გათავების შემდეგ ისევ იქმნეს არჩეული. შეერთებული შტატების კონსტიტუცია ამის შესახებ არას ამბობს; აქედან ცხადია, რომ პრეზიდენტის მეორე-ხელ არჩევას ის არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ცხოვრებამ დააკანონა, რომ პრეზიდენტათ ერთი და იმავე პირის მეორეჯერ არჩევა არ შეიძლება და ეს კანონი ისევე სრულდება, როგორც დაწერილი კონსტიტუცია.

საფრანგეთის კონსტიტუცია ბევრ გვარ უფლებას ანიჭებს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მაგრამ ცხოვრებამ მას თითქმის ყოველგვარი რეალური ძალა გამოაცალა ხელიდან და პარლამენტს დაუქვემდებარა. ინგლისში კონსტიტუციონური წყობილების დედა-ძარღვზე—მინისტრთა პასუხის მგებლობაზე არსად ერთი სიტყვაც არ სწერია, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა მათთვის აუცილებელი გახდა.

(შემდეგი იქნება)

სერგეევის ქუჩაზე მასი უდიდებულესობის პოლკი მიდიოდა სიმღერით, ერთმა ქალმა შენიშნა: ისე მხიარულათ მიდიან, თითქოს პორტ-არტური აეღოთო. მოსკოვნე ხალხში გაისმა ხმა: „ვაშა პორტ-არტურელებს". ერთმა აფიცერმა მეორეს უჩვენა დამნაშავე ქალი. გაგზავნეს ექვსი სალდათი და ქალი დააჭერინეს. ერთმა აფიცერთაგანმა წინადადება მისცა სალდათებს წაიყვანეთ და რაც გინდათ ის უყავითო. სალდათებმა უარი განაცხადეს. მაშინ აფიცერმა მოიხმო შვიდი სალდათი და უბრძანა ქალის გაშოლტვა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

**როგორ მოღვაწეობენ ჯარის უფროსები?** როგორც იქნა გამოძიება დანიშნეს ბალტიის მხარის დამამშვიდებელ, ტყვიის მტყორცნელთა როტის უფროსის პავლოვსკის მოქმედების გამოსაკვლევათ. ერთხელ, როცა მას დაჭერილები მიჰყავდა, გზაში გამოკითხვას შეუდგა; რადგანაც დანაშაულობაში არ გამოტყდენ ერთი იქვე მოკლა და ერთიც სასიკვდილოთ დასჭრა. ამის შემდეგ ორმა დაჭერილთაგანმა დაამოწმა ის, რასაც მათგან ჯარის უფროსი ითხოვდა. ამათ ჩვენებით დაიჭირეს 36 კაცი და შვიდ მათგანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

**გაფიცვის თავისუფლება და პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობა.** ნარვის ცხენის რკინის გზის კონდუქტორების გაფიცვას შემდეგი ამბავი მოყვა. ბოქაული ყაზახებით მივიდა კონკის უფროსთან და მუშაობის განახლება მოსთხოვა. უფროსმა აუხსნა, რომ მას არ შეუძლია კონდუქტორები ძალათ ამუშაოს. ბოქაულმა გოროდოვოების შემწეობით თავი მოუყარა კონდუქტორებს. როცა მათ განაცხადეს, რომ გაფიცვას შეწყვეტა თავის ნებით არ შეუძლიათ, ბოქაულმა კარები გამოუკეტა და გოროდოვოები და ყაზახები მიუსია. მხედრობამ ისეთი ომი გამართა, რომ კონდუქტორები მეორე სართულიდან ხტებოდენ გზაში და ბევრი მძიმეთ დაშავდა.

**მოსკოვში გაფიცვის დროს** დაუჭერიათ 150 აგიტატორი, რომელთაც მოსკოვიდან გასახლება მოელის. ქალაქის გამგეობა არწმუნებს თვითმართველობის დაწესებულებებში მომუშავეთ—თუ თქვენი მოვალეობის ასრულების დროს, ე. ი. როცა გაფიცვას დაარღვევთ რაიმე ზიანს მოგაყენებენ—ქალაქი გიზღავთო.

**კრონშტადტში აჯანყების შემდეგ.** ფლოტის აფიცრები, კრონშტადტის ამბებით შეშინებულნი, სამსახურიდან გარბიან. 19 ივლისს შემდეგ სულ ცოტა ხანში სამოცდა ხუთ აფიცერს მიუცია თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ.

კრონშტადტში აჯანყების გამო ბევრი მატროსი ყოფილა დაჭერილი. გარეშეთაგან სხვათა შორის დაჭერილია სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ონიპკო, რომელსაც ვერავითარი დანაშაულობა ვერ უმტკიცდება, მაგრამ მაინც არ უშვებენ. დატუსაღება გრძელდება. დაუჭერიათ სხვათა შორის რვა გიმნაზიელი. ქუჩაში თურმე ხალხი არა ჩანს. ჯარის კაცებს უბილეთოთ გარეთ აღარ უშვებენ. რეიდზე ორი ნაღმოსანი დგას და შემოსულ გემებს თვალყურს ადევნებს. 27 ივლისს სობოროს მოედანზე აღლუმი გაუმართავთ, გამოუწვევიათ ჯარის ის ნაწილები, რომლებიც აჯანყების ჩაქრობაში იღებდენ მონაწილეობას, მადლობა გადაუხდიათ და საჩუქრები დაურიგებიათ.

**აგრარული მოძრაობა.** ამ ბოლო დროს ტვერის მაზრაში აგრარული მოძრაობა ძლიერ გამწვავებულა. გლეხები უარს ამბობენ საიჯარო გადასახადების მიცემაზე, იტაცებენ მ.მ.მულეების პურს, თივას და სხვ. ბევრ ადგას ხეხილის ბაღები გაუჩეხიათ. ჯარს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ.

**გაფიცვები და პროფესიონალური ორგანიზაციები სოფელში.** გლეხების მოძრაობა რუსეთის სოფლებში მარტო უწესოების მოხდენით—დაწვა-დანგრევით არ თავდება. ზოგიერთ ადგილას გაფიცვებიც იმართება. ამ მხრით ყველაზე შესანიშნავია ტამბოვის გუბერნია, განსაკუთრებით კოზლოვის მაზრა. აქ გლეხებმა მოითხოვეს ქირის მომატება და გაიმარჯვეს კიდეც: სადაც დესეტინის მომკაში ხუთ მანეთს იძლეოდენ, იქ თხუთმეტი მანეთი გახადეს და სხვა. მოჯამაგირეები წინათ წელიწადში ექვს თუმანს ღებულობდენ, გაფიცვებმა მათ თვიურათ 15 მან. მოუპოვეს ხაზეინების ხარჯზე. ასეთმა შეგნებულმა ბრძოლამ უფრო და უფრო დაუფრთხო ძალა სოფლის წურბელებს და მათ დამცველ მთავრობას. გლეხებმა მოიგეს, მაგრამ არა კარგი ორგანიზაციის წყალობით, არამედ იმიტომ, რომ მემამულეები სრულიათ არ მოელოდენ გაფიცვას და დაიბნენ. გლეხებს ბევრი რამ უშლის ხელს. ერთი სოფელი ხშირათ მეორეს ედავება სამუშაოს განაწილების დროს, ხშირათ შეტაკებაც იმართება ხოლმე.

**როგორ სწყვეტს მთავრობა აგრარულ კითხვას?** ვლადიმირის მაზრაში საერობო უფროსს შეუკრებია გლეხები და უბძანებია მიწების მომწესრიგებელი კომისია აირჩიეთო. გლეხებს უთათბირიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ასეთი კომისია საჭირო არ არის. დუმა გარეკეს იმიტომ, რომ მიწას და თავისუფლებას ითხოვდაო, უთქვამთ გლეხებს, და ახლა რაღაც კომისიით უნდათ ჩვენი მოტყუებაო. უფროსს ასეთი თვითნებობისთვის კრების მონაწილენი სამ სამი მანეთით დაუჯარიმებია.

**ახლათ დანიშნულ მიწათმოქმედების მინისტრის ვინაობა ასეთია:** მინისტრი ერთი იმ მედნიერთაგანია, რომელსაც აუარებელი მამულები, არყის ზავოდები, შაქრის ქარხნები და სხ. აქვს. ცხადია, როგორი მომხრე იქნება ის, რომ გლეხებს მიწები მიეცეს.

**პროვინციელი ჯალათების თვითნებობა.** კურსკის გუბერნიაში, სოხგოსტში, 20 ივლისს ჩვეულებრივი იარმარკა ყოფილა. ერთ ყმაწვილს რაღაც გასართობში ფული არ გადაუხდია, რისთვისაც სტრაჟნიკს ძლიერ უცემია. ხალხს ეს ვერ მოუთმენია და სტრაჟნიკს გამოსდგომია. გამოუწვევიათ სტრაჟნიკების და დრაგუნების რაზმი. ატეხილა სროლა, რომლის დროს 37 კაცი მოუკლავთ და დაუჭრიათ.

**მოძრაობა ჯარში.** 6 ივლისს დილა ადრიან მარგელანში მიიყვანეს სამი სალდათი ტაშკენტის რეზერვის ბატალიონისა, რომელთაც კატორღა აქვთ გადაწყვეტილი. ეს ამბავი მალე გაიგეს რკინის გზის როტის სალდათებმა, ყაზარმებიდან გამოვიდენ და თავისუფლებისთვის მებრძოლ ამხანაგებს ოვაცია გაუმართეს.

ტურკესტანის მსროლელთა მე-9 ბატალიონში 15 ივლისს დილით დაიწყო მღელვარება და საღამოს უკვე აშკარა ხასიათი მიიღო, მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: როტის კომანდირმა ორი სალდათი დასაჯა იმისთვის, რომ მათ ქართოფილი ვერ გაფცქვნეს, როგორც სამზარეულოს წესები მოითხოვენ. კომანდირის ხელქვეითებმა უარი სთქვეს ამ სასტიკ ადამიანის დამამცირებელ ბრძანების ასრულებაზე. ბატალიონის სასამართლომ ამისთვის ისინი დაატუსაღა. მეხუთე როტამ „პავერკის" დროს მოთხოვნილება წარადგინა დაჭერილები გაანთავისუფლეთო. მეხუთე როტის ყვირილზე „ურა" და თოფის სროლაზე მათ მეცხრე როტაც შეუერთდა და საბრძოლველათ მზათ იყო. ვინ იცის რა იქნებოდა, რომ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას დამამშვიდებელი მოწოდება არ გამოეშვა—უდროოთ ძალას ნუ გაფლანგავთო.

29 ივლისს კრონშტადტში მოუყვანიათ 36 მატროსი, რომელნიც სავარჯიშო გემ. „აფრიკა"-ზე დაუჭერიათ. ამ გემზე აჯანყება არ ყოფილა, მაგრამ მატროსებს ძლიერი მღელვარება ეტყობოდათ თურმე.

# უცხოეთი

### „კონსტიტუცია" სპარსეთში.

უკანასკნელ დროში სპარსეთში მომხდარ ამბოხებამ საგონებელში ჩააგდო სპარსელების „ბედის გამგე" შაჰ-ედინი და, როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს, მან „უწყალობა" თავის ერს „კონსტიტუცია", რომელმაც ვითომ დიდი სიხარული დაბადა სპარსეთის ერის პროგრესიულ ნაწილში.

შაჰის მიერ ბოძებულ „კონსტიტუციის" ძალით უნდა შესდგეს „პარლამენტი" (სიმართლის სახლი), სადაც უნდა იკრიბებოდენ სპარსეთის მაღალწოდების წარმომადგენელნი: პრინცები, თავად-აზნაურობა, ვაჭრები და სხვა.

სწორედ ამნაირი სისტემის წარმომადგენლობის შემოღებაში არის დამარხული ძაღლის თავი. ასეთი „კონსტიტუცია", ცხადია, ამაგრებს მონარქიის ტახტს და დინასტიის, და აბატონებს ხალხზე მაღალ წოდებას. მონარქიის და მაღალი წოდების კავშირი სახელმწიფოში ძირს უთხრის მდაბიო კლასის ინტერესებს და მუშებს მრავალ-წლობით უმორჩილებს გაბატონებულ კლასს,

რომელიმე საყურადღებო პოლიტიკურ მომენტში, როდესაც რამე მოვლენა დანგრევას უქადის არსებულ წყობილებას, სახელმწიფოს და არსებულ წესს მოევლინება, მამულის შვილი," რომელიც იგონებს რევოლიუციის მეხის ამცილებელს და ამით, როგორც მონარქი, ისე გაბატონებული კლასი, გამოჰყავს განსაცდელიდან. სპარსეთის სახელმწიფოსაც მოევლინება ასეთი მხსნელი; მან უთუოდ კარგათ გაუთვალისწინა სპარსეთის მმართველს რომ, რაც უფრო მეტს ძალას დახარჯავს ხალხი მთავრობასთან ბრძოლაში, რაც უფრო მეტს მსხვერპლს შესწირავს თავისუფლებას, მით უფრო ვრცელი იქნება ხალხის მოთხოვნა, მით უფრო უზრუნველ-ყოფილია დემოკრატიულ წეს-წყობილების დამყარება.

რევოლიუცია, როგორც შედეგი პოლიტიკურ და ეკონომიურ უთანასწორობისა, შიშის ზარს სცემს სახელმწიფოში გაბატონებულ კლასს, ყოველთვის იმაზე ზრუნავს, რომ როგორმე აიცილოს თავიდგან ხალხის აღელვება და აჯანყება. მას კარგათ ესმის, რომ „მუცელი ქმნის რევოლიუციას", როგორც ეს ნაპოლეონ პირველმა სთქვა და მის ასაცილებლათ ყოველთვის მზათაა თავის სუფრიდან ფინჩხა გადაუგდოს გარევოლიუციონერებულ ხალხს.

დღეს ყველასათვის ცხადია, გარდა რუსეთის მთავრობისა, რომ ხალხის ვითომდა საწყნარე აბსოლიუტიზმის დროს ბურჟუაზიულ წესწყობილებისათვის უფრო საშიშაა, ვინემ მღელვარება თავისუფლების დროს არსებულ კანონების ფარგალში სპარსეთში ეს ცოტათ თუ ბევრათ შეგნიათ მმართველებს და გაბატონებულ კლასს, და ვითომდა ძალიან გამსჭვალული არიან ხალხის სიყვარულით, შემოაქვთ უფრთა შეკვეცილი ყოვლათ უმსგავსი „კონსტიტუცია", რათა დროებით მაინც შეინარჩუნონ ბატონობა სახელმწიფოში. სპარსეთის „კონსტიტუციაში" არაფერი არაა გასახარი მდაბიო ხალხისთვის, მაგრამ უთუოდ მეჭვს გარეშეა, რომ სპარსეთის მუშა ხალხი თან და თან გააღრმავებს და გააფართოვებს თავის კლასობრივ და რევოლიუციონურ შეგნებას, რომ დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა და გზა გაიკაფოს სოციალიზმისკენ.

**ბ. დემურია.**

## ღია წერილი უმუშევარ ინტელიგენტთა ბიუროს.

ჩვენ, მე 9 ნაწილის გადამწერლების რწმუნებულები, საზოგადო კრების მონდობილობით, ვიწვევთ სამედიატორო სამართალში უმუშევარ ინტელიგენტთა ბიუროს და ვუყენებთ მას წინააღმდეგ შემდეგ ბრალდებას: 1) ბიურო დებულობდა და დებულობს სამუშაოზე ზოგიერთებს მიდგომით; 2) უმუშევართა საქმეების გაწესრიგებაში ბიურო იჩენს თვითნებობას და ჯიუტობას; 3) ბიურო კეთილსინიდისიერათ არ ასრულებს ქალაქის სამუშაოს.

კერძოთ მე-9 ნაწილის მომუშავეთა მიმართ ბიურომ ჩაიდინა შემდეგი უმსგავსო საქციელი:

1) დააკავა კვირის, ოთხშაბათის და ხუთშაბათის ქირა.

2) გაავრცელა საზოგადოებაში და უმუშევართა შორის მე 9 ნაწილის მომუშავეებზე ტყუილი ცნობები წინდაწინ განზრახული მიზნით—გაეშავებია ხალხის თვალში მისი მოწინააღმდეგეები.

3) ასე მოიქცა ბიურო იმის შემდეგ, რაც რომ მე 9 ნაწილმა მის თვითნებურ მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა.

4) ბიურომ მოიწვია მე 9 ნაწილის დაუკითხავათ „კომისია," რომელსაც გადასცა ტყუილი ცნობები და ჩვენდა დაუსწრებლათ გაარჩევინა საქმე.

ჩვენ საჭიროთ ვცნობთ ბიუროს სამედიატორო სამართალში გამოწვევას სამართლის აღსადგენათ. „კომისიის" გადაწყვეტილებას ჩვენ არ ვთვლით ჩვენთვის სავალდებულოთ არც მორალურათ და არც იურიდიულათ, ვინაიდან ის, როგორც სანაწილოთა-შორისო კომისია არ იყო მას შემდეგ, რა რომ იქიდან დაითხოვეს ჩვენი წარმომადგენელი და აგრეთვე წარმომადგენელი მე 9 ნაწილის სანიტარებისა, რომელიც ამ საქმეში სრულიათ არ იყო დაინტერესებული. მაშასადამე, ის არ იყო საქმის გამომკვლევი კომისია, **არამედ სხვის მიერ** ჩვენს თავზე **გარედმიდან** დანიშნული სამსჯავრო.

დაბოლოს—რაც უფრო საინტერესოა—„კომისიამ" გაარჩია ჩვენი საქმე ჩვენდა დაუსწრებლათ, მიუხედავათ იმისა, რომ მე 9 ნაწილის რწმუნებულებმა ითხოვეს კრების გადადება პატივსადებ მიზეზების გამო და ამხაირათ საქმე გაარჩიეს მხოლოდ ერთი მხარის მოსმენის შემდეგ, რასაც დღეს თვითმპყრობელობის მსაჯულებიც არ შვრებიან.

ჩვენ ვიწვევთ ბიუროს სამედიატორო სამართალში შემდეგი პირობებით:

1) სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილებას ემორჩილება ორივე მხარე.

2) სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილება იბეჭდება ადგილობრივ გაზეთებში.

ჩვენი მხრით ვასახელებთ ორ კაცს კ. ნ—ძეს და პ—ეს. წინადადებას ვაძლევთ ბიუროს მანაც დაუყოვნებლივ დაასახელოს თავის მხრით მედიატორები.

მე 9 ნაწილის გადამწერლების რწმუნებულები: ნესტორ, მელიტონ, ანთიმოს, მოსე, მიშა.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „ტალღის" ფურცლებზე. ს. პერევისაში ოცდაათ ივლისს მომხდარ მიტინგზე გაიმართა დებატები სოციალ-დემოკრატთა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა შორის. პროგრამულ და საზოგადოთ პრინციპიალურ კითხვებში სრულიად დამარცხებულმა ს. რ.-მა ბოლოს მიმართა დემაგოგიას, რაც ჩვენ მაშინვე შევნიშნეთ მას. ამ ჩვენმა შენიშვნამ ისე გააბრაზა ბ. ს. რ. რომ იმან ასეთი უშვერი სიტყვებით მოგვმართა: „თქვენ შუქრუთიდგან ამოთრეულ ს. დ.-ებს არა გაქვთ ნება კრებაზედ შემჩნევა მომცეთ". რადგან ამ სიტყვებით მან ჩვენ პირადი შეურაცყოფა მოგვაყენა, ამიტომ ვიწვევთ მათ ავტორს ბ. გ—ჩ—ს სამედიატორო სამართალში. ჩვენის მხრით მედიატორებად ვასახელებთ ამხ. ი. კ. და ზ. გ. შუქრუთის მაღაროს მუშები: ნ. კ-ძე. ს. ც-ლი, მიც. ნ-ძე.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

2 აგვისტო

**პლოცკი.** ნიშნის მიკემით ყველა პოსტებზე თავს დაესხენ დარაჯებს. ზოგი დახოცეს და ზოგი დაჭრეს.

**გროდნო.** პეტერბურგისკენ ვარშავის გზაზე გაატარეს მოსკოვის ბანკის გამძარცველი ბელენცოვი.

**მოსკოვი.** მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც ივლისის გაფიცვის დროს მოქმედებდა დაიშალა, რადგან ყველა რაიონული კომიტეტები წინააღმდეგი იყო მისი შენახვის. გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაიხურა ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირი.

**ოდესა.** ნოვოროსიისკის სტუდენტ ფელდმანს, რომელიც რევოლიუციონურ პარტიას ეკუთვნოდა, საოლქო სასამართლომ ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვისთვის 4 წლით და 8 თვით კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

3 აგვისტო.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია, რომ ტყუილია გაზეთების ცნობა გერცენშტეინის მკვლელობის გამო დაჭერილ ჟანდარმის ზაპოლსკის განთავისუფლების შესახებ. ზაპოლსკი ვიბორგის ციხეში ზის და მისი საქმე ფინლიანდიის მთავრობამ კანონის ძალით სამხედრო გამომძიებელს გადასცა. გამოძიება სწარმოებს.

**იალტა.** გუშინ პოლიცია მივიდა ყოფილ გიმნაზიელის ბოჩაროვის დასაჭერათ. ბოჩაროვმა გოროდოვოის რევოლვერი ესროლა და დასჭრა. მაშინ გამოიწვიეს ჯარი, რომელმაც სახლს ალყა შემოარტყა. ბოჩაროვმა ყუმბარა გადმოაგდო. სალდათებმა სახლს თოფები დაუშინეს. ბოჩაროვი დასჭრეს და დაიჭირეს. მასთან ერთად დაიჭირეს ორი მუშა.

**პლოცკი.** გუშინ მოკლეს 5 დარაჯი, დასჭრეს ორი და ერთი სალდათი.

**პენზა.** სოფელ კამენკაში, ლომოვის მაზრაში არეულობის დროს მოკლეს და გაძარცვეს ისპრავნიკი პეტროვი და დასჭრეს ბოქაული. მოვიდა გუბერნატორი და მოსამართლე. არეულობის მომხდენნი ყოფილ სახელმწიფო დუმის წევრის ვრაგოვის მეთაურობით დაატყვევეს და პენზაში გაგზავნეს. ადგილობრივი მღვდელი გაკრიჭეს და მონასტერში ჩაამწყვდიეს.

**კიევი.** მთელ კიევის გუბერნიაში აგრარული მოძრაობა შესწყდა. მემამულეები მოხავალს ინახავენ.

**ცარიცინი.** აგრარულ საფუძველზე მაზრაში რამდენიმე ადგილას ცეცხლი გააჩინეს.

**პენზა.** გოროდიშენსკის მაზრის ილმენსკის ვოლოსტის ზოგიერთ სოფლებში არეულობა მოხდა, რომელსაც კაზაკებთან შეტაკება მოყვა. მოკლულია ერთი გლეხი და რამდენიმე დაჭრილი. მოვიდა გუბერნატორი.

**ყაზანი.** პოპოვის გორაზე კოპილოვის სახლში მასწავლებელ ტიმოფეევის დაკეტილ ოთახში, მის შინ არ ყოფნის დროს, აფეთქება მოხდა. აღმოაჩინეს ყუმბარების ლაბორატორია. სახლის პატრონი ქალი და რამდენიმე სტუმრები დაატუსაღეს- გაჩხრიკეს ტეხნიკური სასწავლებელი. დაიჭირეს ბევრი შეგირდები.

**მარიუპოლი.** გაიფიცენ პურის გადამზიდველნი. ხაზეინები მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ ფიქრობენ.

**რიგა.** გაიფიცა ტრამვაი. მოთხოვნები ეკონომიურია.

**პენზა.** გენერალ-ადიუტანტის ქვრივის ვოეიკოვას ტყეში, ლომოვის ტყეში, ლომოვის მაზრაში, გლეხებმა გაჩეხეს 50000 ხე. მოვიდა გუბერნატორი.

**პეტერბურგი.** განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა ნება მიეცეთ ებრაელებს, როგორც ყველას, გახსნან კერძო სასწავლებლები.

**პეტერბურგი.** განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი საყოველთაო განათლების შესახებ, რომელიც სახელმწიფო დუმისთვის უნდა წარედგინათ, მინისტრთა საბჭოს წარუდგინეს და ახლო მომავალში განიხილავენ. განათლების სამინისტრო შუამდგომლობს პროექტის განსახორციელებლათ მომავალ 1907 წელში გადადებულ იქნეს 53,360,000 მ.

ვარშავაში მეორეხელ განიხილეს მებალე კარჩკოვის საქმე, რომელსაც დარაჯის მოკვლისთვის სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი და გაამართლეს.—გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვარშავაში მოკლეს 13 გოროდოვოი, 4 უბნის ზედამხედველი, 7 ჟანდარმი და 4 სალდათი. სულ 28 კაცი; დაჭრეს 8 გოროდოვოი, 2 უბნის ზედამხედველი, 2 ჟან… 6 სალდათი, სულ 18 კაცი. კერძო პირ… მოკლულია 15 და დაჭრილი 100.

**ოდესა.** გაიფიცენ ვაინშტეინის წისქ… მოსამსახურეები. გემის პატრონი ივანე კო… რომელსაც ოდესაში საკუთარი ნავთსადგური… და, გაკოტრდა.

**პეტერბურგი.** რადგან ბეჭდვითი ს… მუშათა კავშირი დაიხურა მის მაგიერ და… არსებული კანონების ძალით ბეჭდვითი ს… მუშათა საზოგადოება, განსაკუთრებით პრ…სიონალურ მიზნით.—საქალებო სასტ… მინარია, რომელიც ახლო მომავალში უნდა… სნიდაყო, უფულობის გამო აღარ გაიხსნ…

**იალტა.** გუშინდელ აგარაკზე თავდას… შესახებ დაწვრილებით შემდეგს გადმოგვ… ქალაქის შუაგულ ადგილში ბრბო ეშვა… რამდენიმე აგარაკზე თავდასხმას ეპირ… პოლიციამ გამოიწვია დრაგუნთა ე… მაგრამ უბნის ზედამხედველი რომანოვ… როდოვოი ადრე მივიდენ დანიშნულ ადგ… წინ ორი ბოროტგამზრახველი მიდიოდა… ნოვმა მოკლა ერთი, დანარჩენები გა… ერთმა თავდამსხმელთაგანმა პაპიროსით ყუ… ფიტილს მოუკიდა, მაგრამ წაიბორძიკა და… ცა. ყუმბარა გასქდა და ბოროტგამზრახ… მძიმეთ დაიჭრა. ღამით ის მოკვდა და… ლის. წინ წამოიძახა, „ჩვენ შეგვიძლია… ლიო", როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა… ღული გვარათ ბაბენკოა.

ებრაელთა ტერიტორიალურ ორგანი… საერთაშორისო საბჭოს ერთმა ლონდ… მდიდარმა შესწირა 200,000 მანეთი, სა… გარეთ ებრაელთა ავტონომიურ ახალშენის საარსებლათ.

რედ.-გამომცემელი **ი. კარგარეთელი**


# განცხადება…

## გაზეთის გამყიდველე-ბის საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ პროვინციის აგენ… თითო ეგზემპლიარი გაზეთისა ეთმობა… **კაპეიკათ**. აგენტმა გაზეთის გა… ლებს უნდა დაუთმოს 4 **კაპეი**… დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ… ლობთ. თფილისშიაც გამყიდველებს პეიკათ ეთმობათ ეგზემპლიარი.

საყმაწვილო ჟურნალი

## ნაკადულ…

სურათებით.

წელიწადში მეორე. წელიწადიათვლება… იანვრიდან იანვრამდე.

**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში… გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარ… მურაას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 3…

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპ… ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები… თათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერ…

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამ… მან., ცალ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. … წლით: ერთათ—2 მან. 50 კაპ., ცა… 1 მან. 50 კაპ., თვეში კ., ცალ-ცალკ… რი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ., … ლთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერ… ძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტ…

შარშანდელი მთელი წლის ნომრები სამ მანათათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქ… დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საა…

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნა… „ნაკადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული… რიასი. გამომცემელი თავ. პავლე… თუმანიშვილი.

კბილის ექიმი ქ-ნ

## ლორის-მელიქო…

იღებს ავათმყოფებს. რკინის გზის მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრ… დაკლებულ ფასებში, რაც დამტკიცებულ… ნის გზათა უფროსის მიერ.

ავათმყოფნი მიიღებიან: დილის 8-… რკინის გზის საავათმყოფოს ძველ შე…

**მიიღება ხელის მოწერა** სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო… ნომიო ახალ გაზეთზე

## „კაიწ" (ნაპ…

რომელიც ჯერ-ჯერობით გამოდის ორჯელ…

სოლოლაკის ქუ…

გამოვიდა და იყიდე…

ახალი რუსული წიგნი

## Оглянемся назад

ვარიობისა.

ფასი 20